

აღ. ლორია, გ. სურმავა

# საბიბლიოთეკო საქმის ისტორია

თბილისი

2007

აღ. ლორია, მ. სურმაფა

საბიბლიოთეკო საქმის ისტორია  
(ნაბეჭდი მეორე)

სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და  
საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის  
სტუდენტებისათვის

თბილისი

2007

УДК 02(99)(075.8)

ლ-156

ნაშრომში განხილულია მხოლოდის ქვეყნების საბიბლიოთებით საქმის განვითარების საკითხები განვითარების 20-ანი წლებიდან 90-ანი წლებიმდე რესურსები და საქართველოს გაუთვალისწინებლი მასალა შემთკლებული სახითა წარმოდგენილი, რომაც თვალისწინებს ის პროცესს, რომელიც გამიზნულია შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებისათვის. ის გარკვეულ დაწმარებას აღმოჩენს მოცემული თემით დაიტკრიტიკულ მკითხველებსაც.

In the following essay is described the questions of the development of the Woold Librarian activities. Since 20-s till 90-s of the previous century without taking into consideration Russia and Georgia. This essay will help students and interested persons as well.

რედაქტორი: პროფ. ნ. გომართველი

რეცენზენტები: ა. ფილაური  
გ. თაყნიაშვილი

K262.926  
3

საქართველოს
კანცალენტის
ეპო 36 ალი
პირ იორი ვაკა

ISBN 99940-62-83-1 (მეორე ნაკვეთი)



## წინასიმზვანიბა

„საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი დამუშავებული იყო თბილისის სულხან-საბა თრ-ბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერ-სიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე, მაკრამ სახელმძღვანელოს მთლიანად გამოცე-მა ვერ მოხერხდა საჭირო სახსრების უქონლობის გამო. ამ-იომაც გადაწყვდა მისი მონაკვეთებად გამოცემა. პირველი ნაკვეთი, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა, მოიცავს მასალას საწყისი პერიოდიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ის მთლიანად ეყრდნობა იმ პროგრამას, რომელიც დამტკიცე-ბულია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტე-ქნილოგიების სეცეიციალობის სტუდენტებისათვის.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც ადრეული ხანის, ისე უახ-ლეს ლიტერატურას და კომპიუტერულ მასალას. მართალია, გამოცემამდე რამდენიმე ახალი გამოკვლევაც გამოქვეყნდა, მაგრამ მათი მასალის გაუთვალისწინებლობა არ ქმნის რაიმე შეფერხებას საკითხის სრულყოფილად გაშექების თვალ-საზრისით. საგულისხმოა, რომ წინამდებარე წიგნი ამავე დროს ასრულებს ერთგვარი ორიენტირისა და გზამკვლევის როლს, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და დაინ-ტერესებულ პირებს, მეტი ინფორმაცია და ცოდნა მიიღონ მოცემული საკითხის შესწავლისას.

ქართულ ენაზე ამგვარი სახელმძღვანელო პირველად გამოდის. მასში მხედველობაშია მიღებული უცხოენოვანი გამოცემები და კვლევის ის შედეგები, რომლებიც მოპოვებუ-ლია უშავლოდ ჩეკის მიერ. ამდენად, არ გამოვრიცხავთ, სახ-ელმძღვანელოს ნაკლოვანი მხარეებიც აღმოაჩნდეს, რაც შემდგომში გამოსწორებას და სრულყოფას მოითხოვს.



1. საბიბლიოთეპ საქმის განვითარება მეცნიერებულ  
მსოფლიო ომამდე (1920-1940)

1.1. საბიბლიოთეპ საქმის განვითარება ევროპის  
კულტურის

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უმეტეს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმიანობა კანონიშინებული იყო ხელისუფლების მიერ სხვადასხევა სახელმწიფო დოკუმენტებით, ამას რამე განსაკუთრებული ნახტომი არ გამოუწვევია საბიბლიოთეკო საქმის პროგრესში. მოგ შემთხვევაში კანონი მოგად ფუნქციებს უფრო განსაზღვრავდა, ვიდრე ბიბლიოთეკების საქმიანობას უწევდა კონკრეტულ სამსახურს. ამგვარად იყო ინგლისშიც, თუმცა არ შეიძლება თქვას, რომ კანონს თავისი დადგებითი შედეგებიც არ ქვეთდა. მაგალითად, თვითმმართველობით ორგანიზებს აქ წება მიუხატ გაეხსნათ და დაეფინანსებინათ საგრაფოების ბიბლიოთეკები, თუმცა ბიბლიოთეკებზე ხელმძღვანელობა და ცენტრალური დაფინანსება არ ხდებოდა. 1925 წლიდან იწყება საგრაფოების ცენტრალური ბიბლიოთეკების გახსნა, ერთდროულად ფუნქციონირებდნენ საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკებიც, მაგრამ სოფლის მოსახლეობა თითქმის საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე იყო დარჩენილი. სამაგიეროდ მეტი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. იქნდა რა, რომ მსოფლიო ომში ჩაურევლად ვერ გადაწებოდა, ინგლისის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ტექნიკური და სამეცნიერო აბროვნების განვითარებისათვის. 1932 წელს ბრიტანეთის მუზეუმს მიუშენეს ახალი ნაგებობა ინგლისური და უცხოური გამზეთებისათვის, აგრეთვე სხვა დამხმარე საჭიროებისათვის.

სრულიად ვერ ასრულებდა თანამედროვე მოთხოვნილე-



ბებს საფრანგეთში უართო მოხმარების სახალხო ბიბ-ექსპოზურა  
ლიონთეკების ქსელი. ძალიან ცუდად იყო დაყენებული დაბა-  
ლი ფენების საბიბლიოთეკო მომსახურებისა. მხოლოდ  
კლერიკანური ბიბლიოთეკები აქტივობდნენ, რომლებმაც 1934  
წელს თავიანთთვის ცენტრიც შექმნეს, 1939 წელს გამოსცეს  
სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული  
სამრევლო ბიბლიოთეკა, მაგრამ საფსებით განსხვავებულად  
მიმდინარეობდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების განვითარე-  
ბა. 20-იანი წლების დასახურულსა და 30-იანი წლების  
დასაწყისში საგრძნობლად გაფართოვდა და გაუმჯობესდა  
სამეცნიერო ბიბლიოთეკების ქსელის საქმიანობა. ეს გან-  
საკუთრებით საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაზე  
ითქმის. 1934 წელს ვერსალში ექსპლუატაციაში შევიდა  
რეასართულიანი დამატებითი შენობა წიგნსაცავისთვის,  
რომლის თაროების საერთო სიგრძე 20 კმ-ს შეადგენდა, გაიხ-  
სნა ახალი საცნობო დარბაზი რეკონსტრუირებულ შენობა-  
ში, სადაც კატალოგები იქნა განლაგებული, აფრეთვე სხვა-  
დასხვა სახის საცნობარო ლიტერატურა – ენციკლოპედიები,  
ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, ლექსიკონები და სხვ.,  
გაიჩარდა ფართობი გამოფენებისათვის.

ამ პერიოდში შესამჩნევად ძლიერდება მეცნიერეული და  
მეთოდიკური მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბ-  
ლიოგრაფიის დაწესი. 1885-1935 წლებში საფრანგეთში  
შეერთებული კატალოგის 22 ტომი გამოიცა უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკების ბაზაზე, რის მოთავსე იყო მონქელიეს უნი-  
ვერსიტეტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მაღკლე-  
სის გამოკვლევები შეერთებული კატალოგის დაწესი.

გერმანიაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის  
განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქმნა. ჯერ ომში დამა-  
რცხებამ, სულიერმა დეპრესიამ, შემდეგ კი ეკონომიკურმა



კრიტიკაშა ძლიერ შეაფერხა საბიბლიოთეკეო საქმის განხრმიველი  
თარება. ხელისუფლება ცდილობდა რევანშისტული  
სულისკვეთებით აღემარდა მასები და ამ საქმეში, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, სკოლებთან ერთად ბიბლიოთეკებიც ჩააბა. ბიბ-  
ლიოთეკები მოვალენი იყვნენ, ფართო პროპაგანდა გაეწიათ  
ნაციონალური სულისკვეთების წიგნებისათვის. 1933 წლის  
გაფხულში შეიქმნა პროპაგანდის სამინისტრო, რომელსაც  
ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკა დაექვემდებარო.

ნაცისტების სახელმწიფოს სათავეში მოსვლა აღინიშნა უამ-  
რავი წიგნის დაწვით, პროგრესულად მოაბროვნე მექნიერთა  
და შემოქმედთა დევნით, ბიბლიოთეკების ე.წ. „წმენდით“.  
დედაქალაქის ცენტრში, პირდაპირ ქეჩაში, უნივერსიტეტის წინ  
მოედანზე წვავდნენ წიგნებს. 1933 წელს მხოლოდ ლეიპციგში,  
ამ შესტამბეთა ცენტრში, 500 ათასამდე წიგნი იქნა განადგურე-  
ბული. ბიბლიოთეკების საქმიანობას პოლიცია მეთვალყურე-  
ობდა. დაიხურა პროფესიუმირული ბიბლიოთეკები, აკრძალული  
იყო ბიბლიოთეკებში ებრაულ და ბოგ სხვა ენებშე გამოცემუ-  
ლი წიგნების დაცვა. ფაშისტებმა თავის სამსახურში 20 ათასი  
ფასიანი ბიბლიოთეკა ჩაბყენეს. პირველ ხანებში კომუნისტური  
ორგანიზაციის მუშათა გაერთიანებები, საბოგადოებები და ბიბ-  
ლიოთეკები ცდილობდნენ აღდგომობრენ რეაქციულ მანქანას,  
მაგრამ ისინი განადგურებულ იქნენ მთლიანად.

გერმანიის სამეცნიერო ბიბლიოთეკებიც ერ გადაურჩა  
რეპრესიებს, რადგანაც მათ მასების ფართი ფენებთან არ ჰქონ-  
დათ არავითარი კავშირი, მათზე შერბილებული იყო ბედამხედ-  
ველობა. 20-იან წლებში სამეცნიერო ბიბლიოთეკები უკვე  
ფონდების სიჭარბით ფართობის სივიწროვის პრობლემის  
წინაშე აღმოჩნდნენ. ამიგომაც განსაკუთრებული ყერადღე-  
ბა დაეთმო ფონდების დაკომპლექტების საკითხს. გამოჩენილმა  
ბიბლიოთეკათმცოდნებ გეორგ ლეიმ მეცნიერულად დასაბ-



უთა ფონდების ყოვლისმომცველობის (სისრულის) უფოძისუროში გამოიყენებოდა ბა. ამ პერიოდი ნაყოფიერად მოღვაწეობდა გერმანული ბოლოოგი პროფ. ადოლფ მეიერი, რომელიც სისტემატიკი კატალოგის განახლების პროცედურები მუშაობდა. გერმანული ბიბლიოთეკარები ტრებეტი და ეპელსხეიმერი თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებდნენ სისტემატიკური კატალოგის უპირატულობას საფუძვლით კატალოგთან შედარებით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკები სულ უფრო ბეჯითად ადგებიან დაკომპლექტების საქმეში ურთიერთთანამშრომლობის გზას. ჩნდება ერთგვარი „მკვდარი“ ფონდის ცნება, რასაც ნაკლებადგამოყენებულ ლიტერატურას უწოდებენ. ამ საკითხებს მეცნიერებლად ამჟამავებდნენ ფ. ეიბლერი და ფ. იუნტკე-ფონდების დიფერენცირებულად დაკომპლექტებამ სხვადასხვა ბიბლიოთეკებს შორის ბიძგი მისაც ბმა-ს განვითარებას. მუშავდებოდა ბმა-ს წესები და ინსტრუქციები, რომლებსაც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც იყენებდნენ.

თითქმის შეგავსი მდგომარეობა იყო ფაშისტური რეჟიმის სხვა ქვეყნებში. იგალითის ბიბლიოთეკიდან, საერთოდ, მთლიანად განდევნეს ანტიფაშისტურად მოაბროვნე სპეციალისტები, განსაკუთრებულად დაუნდობელ რეპრესიებს განიცდიდნენ სახალხო ბიბლიოთეკები, ყველაფური, რაც კი ფაშისტური იდეოლოგიის სამსახურში არ იყო, უხეშად ნადგურდებოდა, თარიები ნაცისტური ლიტერატურით გადაიცვათ. მხოლოდ რამდენიმე ფაქტი თუ პფენს ნათელს იგალითს საბიბლიოთეკო საქმის ამ პერიოდის ისტორიას, როგორიცაა, შაგბალითად, 1935 წელს ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკისათვის ახალი შენობის აგება. განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურებაა საბიბლიოთეკო საქმეში იტალიის ყოველ ლიტერატურული ბიბლიოთეკის არსებობა. ამ სიმრავლეში გამოიწვია ის, რომ თითქმის არ იყო არც



ერთი ერთვნული ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი იქნება მის მიერ და მთელი ნაციონალური რეპერტუარი. საგულისხმოა ისიც, რომ იტალიის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, ფაქტობრივად, საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციებს ასრულებდა.

31-იანი წლებიდან ფართოდ გაიშალა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანეთში. ნაციონალ-სოციალისტთა წიგნები აჭრელებული იყო მკითხველთა მიერ ათასგვარი მინაწერით, რომლითაც ისინი აკრიტიკებდნენ ამ პარტიას და გმობდნენ მის პოლიტიკას, მოგ შემთხვევაში დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ. ბიბლიოთეკებს ხელისუფლებამ სპეციალურად დაავალა, თვალყური ედევნებინათ ასეთი მკითხველებისათვის, ამასთან აღმოეჩინათ წიგნებში ასეთი მინაწერები და წარმალათ ისინი.

ასეთივე რეპრესიები მდვინვარებდა უნგრეთსა და ბულგარეთში. მაგალითად, ბულგარეთში ასობით კულტურის მუშაკი იყო მოთავსებული ციხეებში მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმის დროს, 374 კულტურის მუშაკი დახვრიცეს, მათ შორის ბიბლიოთეკარები. 1920 წელს მიღებულმა კანონმა, რომლის ძალითაც სხვადასხვა ქალაქები ბიბლიოთეკები გაიხსნა, სავსებით დაკარგა თავისი ძალა 1923 წელს ფაშისტური გადატრიალების შემდეგ, მაგრამ ბულგარეთში განსაკუთრებით მძლავრად მოქმედებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც მოხერხებულად იყენებდნენ თავის საქმეში ბიბლიოთეკებს.

გაცილებით უკეთესი პირობები პქონდა ევროპის ქვეყნების იმ ბიბლიოთეკებს, რომლებშიც ფაშისტურ რეჟიმს ვერ შეეღწია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიირჩეოდა შვეიცარია. ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა 1920 წელს შვეიცარიის ბიბლიოთეკართა გაერთიანების მიერ ბერნში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნა, რომელიც საყოველთაო მოხმარე-



ბისათვის იყო განკუთვნილი და მთელი ქვეყნის მოსახლეობის უფლება მისახურებოდა. ამას ის ოლქებში განლაგებული თავისი ფილიალების მეშენობით ახერხებდა. ამ ბიბლიოთეკას უდევრალური ხელისუფლება აფინანსებდა, რასაც კანგონების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის თანხაც ემატებოდა.

1921 წელს ბელგიაში მასობრივი ბიბლიოთეკების საქმიანობის შესწავლა მოეწყო. აღმოჩნდა, რომ ბევრ საერთოს სულაც არ ჰქონდა გახსნილი ბიბლიოთეკა, ხოლო ბევრი არსებული ბიბლიოთეკა უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ წელს მიღებულმა საბიბლიოთეკო კანონმა დიდად შეუწყო ხელი საქმის აღმავლობას. ხელისუფლების ინსპექტორები სპეციალურად მოგზაურობდნენ მთელ ქვეყანაში, რომ შეემოწმებინათ ხსენებული კანონის მოქმედება. ყოველივე ამის შედეგად, 1922-1923 წლებში საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა 1370-დან 2388-მდე გაიმარდა. 1922 წელს ორგანიზებულ იქნა კურსები ბიბლიოთეკართა მოსამზადებლად. 1920 წელს ბრიტანელში პირველი საბავშვო ბიბლიოთეკა გაიხსნა. შემდეგ წლებში ამერიკელთა ხელშეწყობით კიდევ 10 საბავშვო ბიბლიოთეკა დაარსდა. კარგ პირობებში იყო კოოპერატივების მასობრივი ბიბლიოთეკები.

ჩეხოსლოვაკიაში 1919 წელს საბიბლიოთეკო კანონის მიღების შემდეგ ბევრი რამ გაუმჯობესდა. კანონის თანახმად, აღმილობრივი მმართველობის სახსრებით მთელი ქვეყნის ქალაქებში, სადაც 300 ათასამდე ადამიანი წხოვრობდა, მასობრივი ბიბლიოთეკა უნდა გახსნილიყო, რომ არაფერი ვოჭვათ დიდ დასახლებულ პუნქტებზე. 1937 წლისათვის აქ თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდა მასობრივი ბიბლიოთეკა. შედარებით უფრო რთულად იყო საქმე სლოვაკიას მხარეში, სადაც გაჭიანურდა საბიბლიოთეკო კანონის გატარება. ძირითადად აქ მაინც სლოვაკერი „მატიცა“ აქტი-



ურობდა, რომელსაც საკუთარი გამომცემლობა პქონტური ბიბლიოთეკებს თავის გამოცემულ წიგნებს უსასყიდლოდ ურიგებდა. ენერგიულად მოქმედებდა ჩეხოსლოვაკის ბიბლიოთეკართა ასოციაცია. გამოსცემდა თავის ფერნალს, პქონდა გახსნილი სპეციალური სკოლა ბიბლიოთეკართა მოსამზადებლად.

საბიბლიოთეკო საქმე დანიაში 1920 წელს აქ მიღებულ საბიბლიოთეკო კანონს ეფუძნებოდა. ამ კანონის ძალით, ქვეყნად შეიქმნა საბიბლიოთეკო ქსელის სტრუქტურა, დაღვინდა ბიბლიოთეკების დაფინანსების წესი, ახალი ბიბლიოთეკების დაარსების პირობები და სხვ. საჯარო ბიბლიოთეკები განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა. ბიბლიოთეკების უმუალოდ სახელმწიფო ონსპექცია და საბიბლიოთეკო საბჭო ხელმძღვანელობდა, საჯარო ბიბლიოთეკების სახელმწიფო დირექტორის მეთაურობით. ისინი ეყრდნობოდნენ რა ხალხის ინიციატივას, ხსნიდნენ ბიბლიოთეკებს, ხელს უმართავდნენ მათ და ეხმარებოდნენ ტექნიკური აღჭურვილობით. ეს ორგანოები ეხმარებოდნენ ბიბლიოთეკებს აგრეთვე დაკომპლექტებასა და სხვადასხვა ორგანიზაციულ საქმიანობაში, ეწეოდნენ საკონსულტაციო მუშაობას.

1920 წელი ფინეთში საბიბლიოთეკო საქმის რეორგანიზაციით აღინიშნა. სეიმშა მიიღო კანონი საბიბლიოთეკო საქმის სუბსიდირების შესახებ. 1921 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბიბლიოთეკო კომისია თავისი აღმასრულებელი ორგანოთი – სახელმწიფო საბიბლიოთეკო ბიუროს სახით. ბიბლიოთეკების დაკომპლექტება ხდებოდა სახელმწიფო გამოცემლობათა საწყობებიდან, მაგრამ ძირითადად არა მხატვრული, არამედ სამეცნიერო ლიტერატურით. 1929 წელს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებათა გამზიარების საფუძველზე, ფინეთში მიღებულ იქნა საბიბლიოთეკო კანონი. ბიბ-



დიოთევების შესანახი ხარჯები სახელმწიფომ თავის თავზე უსაკრიცელი გადასაცემის ადღის მიმართველობას დაექისრა. ფინეთის მასობრივ ბიბლიოთეკებს საბავშვო განყოფილებები გააჩნდა, რომლებმიც კარგად იყო დანერგილი ღია თაროს აბონემენტი.

როგორც ფინეთში, ისე დანიაში, ნორვეგიასა და შვეციაში საბიბლიოთეკო კანონების მიღებამდე ბიბლიოთეკებს უშუალოდ სახელმწიფო აფინანსებდა. კანონებმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგებას – შემოღებულ იქნა ნორმატივები, კონგროლი საბიბლიოთეკო საქმიანობაზე და მათზე ბედამხედველობა.

განსხვავებული ვითარება იყო ვეროპაში სამეცნიერო ბიბლიოთეკების საქმიანობის თვალსაზრისით. 20-30-იანი წლები, საერთოდ, აღინიშნა მსოფლიო მოწინავე ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმის უნიფირებით, განსაკუთრებით სამეცნიერო ბიბლიოთეკების საქმის ერთგვაროვნებით მეთოდებისა და ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. უკვე ბევრი რამ საერთო აქცი სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებს. ამას ხელს უწყობს კავშირურთოერთობის გაფართოება, რის წყალბითაც აღვიდდება გამოყდილების გადმოღება. თავიანთი მიმწებით, ამოცანებითა და უუნქციებით სულ უფრო შეგად ემსგავსებიან ერთმანეთს ევროპული ბიბლიოთეკები. მართალია, ბევრ ქვეყანაში ეროვნული ბიბლიოთეკები შედარებით გვიან აღმოცენდნენ – 30-40-იან წლებში – მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შათი ფუნქციები მანამდე სხვა ბიბლიოთეკებს არ ეგარებინოთ. მაგალითად, პოლონეთში ნაციონალურ ბიბლიოთეკად ითვლებოდა იაგელონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ჩეხოსლოვაკიაში – პრაღის უნივერსიტეტისა, იუგოსლავიაში – ზაგრებისა და სხვ. ბოგ შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოთეკის უუნქციებს ასრულებდა



ა კადემიათა და მუზეუმების ბიბლიოთეკები. მთელ რიგ ქვეყნის  
ნები ნაციონალური ბიბლიოთეკა არა ერთი, არამედ რამ-  
დენიმე იყო, როგორც მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სა-  
ფრანგეთში, იტალიაში, იუგოსლავიასა და სხვა ქვეყნებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებ-  
ში მწვავე კრიზისმა (1929-1933) აიძულა ხელისუფლება შეგი-  
ყურადღება დაეთმო ეროვნული სამეცნიერო კადრების მო-  
მზადებისათვის. მეცნიერება იქცა ეკონომიკის აღორძინების  
რესურსად. სამეცნიერო ბიბლიოთეკებს დიდი პასუხისმგებლო-  
ბა დააწევა თავს, განსაკუთრებით გამრდილი მოთხოვნილება  
წაეყინა უნივერსიტეტების პროფესურას. ამან ერთიანად გაა-  
ძლიერა სამეცნიერო ბიბლიოთეკების საქმიანობა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკების მდგრმარეობა და პირობები  
ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ იყო – სხვადასხვაგვარად წყ-  
დებოდა მათი ხელმძღვანელობის, დაკომპლექტების, კატალოგე-  
ბისა და სხვა საკითხები, მაგრამ მათი მუშაობის ხასიათისა და  
ფორმების ერთიანობა აიძულებდა ამ ბიბლიოთეკებს მათთვის  
ყველაზე სასურველი მაგალითები ეძებნათ და გადმოეღოთ. ამ  
კუთხით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბმას ორგანიზაცი-  
ის სრულყოფის ცდები. ამ აბონემენტმა თითქმის ყველა ქვეყ-  
ნის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაიმკვიდრა ადგილი.

მოცემულ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს მეცნიერ-  
ული და მეთოდიკური მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა  
და ბიბლიოგრაფიის დარგში. ისტორიის ამ მონაკვეთში ბიბ-  
ლიოთეკათმცოდნეობაში მუშავდება ისეთი საკითხები,  
როგორიცაა, მაგალითად, წიგნცვლის სისტემები, ბიბლიოთეკები-  
ბის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, ცალკეული ბიბ-  
ლიოთეკების შექმნისა და განვითარების ისტორია, ფონდ-  
თან თავისუფალი დამვების სისტემა, ბიბლიოთეკართა შრო-  
მის ორგანიზაცია და სხვ. ცალკეულ შემთხვევებში მუშავდე-



ბოდა პერიოდების პროცესის შედეგებით.

აღრინდელთან შედარებით, მეტი ყურადღება დაეთმო პროფესიული ცოდნის დანერგვას – საბიბლიოთეკო განათლებას. ამ დარგში ერთ-ერთი უთვალსაჩინოები წარმომადგენელი იყო მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და ამ უნივერსიტეტის არსებული საბიბლიოთეკო სკოლის დირექტორი ვ.ვ. ბიშონი. მისი მოღვაწეობა მაგალითად იქცა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისათვის. ამან თავისებური გამოხმაურება პერვა ევროპაშიც. 1921 წელს გერმანიაში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრა გეტინგენიდან ბერლინის უნივერსიტეტში გადააქვთ, რაც ამ პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას ნიშნავდა. საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში სტედენგბერსა და ბიბლიოთეკის მუშაკებს, რომლებიც ემზადებინენ ბიბლიოთეკარის წოდების მისაღებად, ბიბლიოგრაფიაში ლექციებს უკითხავდა ცნობილი ბიბლიოფილი ლ. ნ. მალკლესი. ბელგარეთში სოფიის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კურსი მიყავდა ცნობილ მეცნიერ-სა და სამოგადო მოღვაწეს სტოიან არგიოროვს, ბელგიაში – ბრიუსელის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკარის თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატებს ლექციებს უკითხავდა საბიბლიოთეკო სამყაროში კარგად ცნობილი მეცნიერი პოლ ოტლე. ასევე ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნე ლ. ვოუჩერ-სთან ერთად მან შეადგინა სპეციალური კურსის კონსექტი - „სამოგადოებრივ ბიბლიოთეკათა სახელმძღვანელო“. 1918 წელს შვეიცარიაში დაარსდა სამწლიანი საბიბლიოთეკო სკოლა (ჟენევაში). აქ ორ წელს თეორიას ასწავლიდნენ, ბოლო ერთი წელი საწარმოო პრაქტიკას ეთმობოდა. სასწავლო პროცესი მეცნიერების მოამზადეს ენერგეტიკის დიდი ბიბლიოთეკების გამოცდილება ბიბლიოთეკარებმა, რომლებიც ასწავლიდნენ კიდევ ამ სკოლაში.



ბიბლიოთეკარის წოდების მოსაპოვებელი გამოცემის წარმატებაზე  
ჩაბარება მკვეთრად ჩამოყალიბებული წესითა და სისტე-  
მით ხდებოდა ოოფიციალურად, ისე მოგ დიდ ქვეყანა-  
შიც – დიდ ძრიგანებში, საფრანგეთში. ამგვარი სისტემა თან-  
დათან სხვა ქვეყნებშიც ვრცელდებოდა.

აღნიშნულ პერიოდში, ფაქტობრივად, საფუძველი ეყრება  
საბიბლიოთეკო საქმეში პროფესიული მოთხოვნების წამოყ-  
ენებას ბიბლიოთეკართა მიმართ. ამან ხელი შეუწყობ-  
ში დარგის სწრაფ განვითარებას და მის სრულყოფას.



## 1.2. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიბლიოთეკების საქმიანობა  
ყოველ ცალკეულ შტატში ამ შტატის კანონმდებლობის მიხედ-  
ვით ხორციელდებოდა. მასონბრივი ბიბლიოთეკების დაუინ-  
ანსება ხდებოდა ადგილობრივი შპართველობის ხარჯზე,  
აფრეთვე იმ შეწირულობებით, რომელსაც მდიდარი ოჯახე-  
ბი, კორპორაციები და ასოციაციები იღებდნენ. ამ თანხების  
ხარჯვასა და საერთო კონგრილიტე მეთვალყურეობას საბიბ-  
ლიოთეკო ასოციაცია ახორციელებდა. მისი ინიციატივით  
ბიბლიოთეკები პრაქტიკაში უფრო ეფექტურ ფორმებს ნერ-  
გავდნენ, ხელს უწყობდნენ სიახლეთა დამკვიდრებას.

ქალაქებში ძირითადად საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი  
ჭარბობდა, რომელიც ერთიან სამმართველოს ექვემდებარე-  
ბოდა, ფილიალების საქმიანობაში კოოპერირების წესი გამ-  
ოიყენებოდა. დიდი ბიბლიოთეკების ქსელი შედგებოდა ცენ-



გრალური ბიბლიოთეკისა და ფილიალებისაგან, რომლებსაც უამრავი გაცემის ჟენტი გააჩნდა, აგრეთვე პქნონდა საბავშვო, სასკოლო და სახოფლო ბიბლიოთეკები, თითქმის ყველა ბიბლიოთეკასთან აუდიტორია იყო საკლუბი მუშაობისათვის. 1929 წლისთვის 6 ათასამდე ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა.

ეს ბიბლიოთეკები განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდნენ საზოგადოების დაბალ ფენებთან, შეისწავლიდნენ მუმა მკითხველთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ყოველივე ამას მოთხოვდა მეწარმეთა ინტერესები, რომელთაც შედარებით განვითარებული მუშათა უნები ესაჭიროებოდა. მის გარეშე ტექნიკური პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა.

საჯარო ბიბლიოთეკები აქციურად მუშაობდნენ ბავშვ მკითხველებთან. მათი მომსახურებისათვის საბავშვო განყოფილებები იქმნებოდა, სადაც წიგნის პროპაგანდის მიწნით ბევრ ახალ ფორმას მიმართავდნენ. საბიბლიოთეკო საქმის საგანმანათლებლო საქმეში ჩასართველად სპეციალური პროგრამა იქნა შემუშავებული, რომელიც უნდა განხილული საოჯახო განათლების მეორე ნაციონალურ კონფერენციაზე მინისოფთხი 1925 წელს. საჯარო ბიბლიოთეკები, უძირუელეს ყოვლისა, მათი საბავშვო განყოფილებები, თავიანთ საქმიანობას სახალხო განათლების ორგანიზებთან კოორდინირებულად წარმართავდნენ. ეს უფრო აუმჯობესებდა და კონტროლს საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების.

როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, ამერიკის შეერთუბელ შტატებშიც არ იყო ერთი ნაციონალური ბიბლიოთეკა, სადაც ყველა გამოცემა პროვებდა ასახეას, მაგრამ შეაცნობდა დიფერენციის განათლებული დაკომპლექტების სისტემა საშუალებას იძლეოდა. მთლიანად დაცულიყო ეროვნული ბეჭდური პროდუქცია.

ამერიკის სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებულია ფონდებთან ფართო აუდიტორიის დაშვება, გან-



საკუთრებით ეს ითქმის საუნივერსიტეტო ბიბლიოოთურული რომელიც ყოველმხრივ უწყობენ ხელს სამეცნიერო პოლემის სრულად ამოქმედებას. ფართო გასაქანი პერვა სამეცნიერო ლაბორატორიების, ფირმების, საწარმოო-დაწესებულებების სპეციალურმა სამეცნიერო-ტექნიკურმა ბიბლიოთეკებმა, რომლებიც ძირითადად განკუთვნილი იყო ადგილზე მომუშავე პერსონალისათვის და არა განურჩევლად ტექნიკური ინტელიგენციისათვის.

ბიბლიოთეკათმორისი აბონებენტი, განსაკუთრებულად გაერცელებული იყო დასავლეთ ეეროპის ქვეყნებში და მისი სრულყოფილი გამოყენება შეერთებული კატალოგების ორგანიზებული სისტემის არსებობას მოითხოვდა. შეერთებულ შტატებში ბმა-ს დიდი გამოყენება არ ჰქონდა, მაგრამ შეერთებულ კატალოგებს კი აქტიურად გამოიყენებდნენ. 1932-1940 წლებში მრავლად გამოიყა როგორც აღვილობრივი, ისე რეგიონალური შეერთებული კატალოგები. 1927-1937 წლებში გამოცემული იყო მხოლოდ პერიოდული ორგანოების 35 შეერთებული კატალოგი. შეერთებული კატალოგების პროდუქტები ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მსჯელობის საწარმოში იქცა.

ამ პერიოდში კვლავ განაგრძობდნენ სრულყოფას ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები. დიდი ყურადღება დაეთმო მთავარი ეროვნული ბიბლიოთეკისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამდიდრებას. 1939 წელს კონგრესის ბიბლიოთეკისათვის დამატებითი შენობა ააგეს, რომელიც მველს მიწისქვეშა გვირაბით დაუკავშირდა. კონგრესის მიერ მიღებული კანონის თანახმად, ნაციონალური ბიბლიოთეკა ბრმათა საბიბლიოთეკო მომსახურების სისტემის მეთოდცენტრადაც იქცა. 1934 წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკა აღარ წარმოადგენს ნაციონალურ



არქივებს და ის ძირითადად მხოლოდ საბიბლიოთეკო-ინფორმაციული  
მაციული მომსახურებით არის დაყვიტებული.

შეურთებულ მტაგებში წარმატებით გრძელდებოდა მეცნიერების მოღვაწეობა ბიბლიოთეკადმცოდნებობისა და ბიბლიოგრაფიის დაწესება. 1929 წელს გამოიყა პერიოდიკული ბლობის შედგენილი საკლასიფიკაციო სქემის სამგომეული; ამერიკულები ლანდი და ტრიუმვი იკვლევდნენ სისტემატური კატალოგების პრობლემებს, პერიოდიკის შეერთებული კატალოგების თეორიულ და მეთოდიკური საფუძვლების შექმნაზე მუშაობდნენ ბიბლიოგრაფიული და წიგნსაგამომცემლო ფირმის თავი უილსონი და არაერთი შეერთებული კატალოგის რედაქტორი გრუგორი და მრავალი სხვ., რომლებიც უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკადმცოდნებობით ხამროვმებს აქციურებდნენ.

შტატებში უართოვდება საბიბლიოთეკო დაწესის სპეციალისტთა მომზადების საქმეები, მკვიდრდება საბიბლიოთეკო სკოლებისა და კურსების საქმიანობა, ხულ უფრო შეტად და მეტად ებმებიან საბიბლიოთეკო მოღვაწეობაში ქალები.

საერთოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საბიბლიოთებული საქმე და გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების შესაბამის საქმიანობაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს მეზობელ ქვეყნებზე ითქმის, განსაკუთრებით კი კანადაზე. აქ საბიბლიოთეკო საქმიანობა ამერიკის ანალიფიურად ვითარდება, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს, უმეტესად საუნივერსიტეტო უწყებებისა, რომლებიც შეერთებულ შტატებში არსებულ მესაბამის დაწესებულებებს საგრძნობლად ჩამორჩება. თანაც, მხოლოდ სასწავლო პროცესის წარმართებას ემსახურებიან და მეცნიერთა გამოყენებას ვერ აქმაყოფილებენ. დახმარებისათვის უმეტესად ამერიკის შეერთებული შტატების ან ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკებს მიმართავდნენ.



შეერთებული მგატების საბიბლიოთეკო საქმისთვის  
მოცემულ პერიოდში არ შეუწყვეტია განვითარების პლაგა-  
ლი ხაზი, რამაც ხელი შეუწყვეტი მის შემდგომ სრულყოფას თვით  
ომისდროინდელ უმძიმეს პერიოდშიც კი.



### 1.3. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში

საბიბლიოთეკო საქმის განვითარება კოლონიურ თუ ნახ-  
ევრადკოლონიურ ქვეყნებში ეროვნული თვითშეგნებისა და  
კელტურის ამაღლებისათვის ბრძოლის პირობებში მიმ-  
დინარებიდა. იმრედებოდა ნაციონალური ბურჟუაზიის რიგები,  
ადგილობრივ მოსახლეობაში ფართოედებოდა განათლების  
მქონე პირთა ფენა, ბიბლიოთეკების საქმიანობა მთლიანად  
დამოკიდებული იყო მეტროპოლიათა პოლიტიკაზე. ზოგან,  
სადაც შედარებით ლიბერალური მმართველობა განაგებდა,  
მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ ქვეყნებ-  
ში არსებული მდგომარეობისაგან, სადაც მძიმე რეაქციელი  
კოლონიალიზმის პოლიტიკა ხორციელდებოდა.

დამოუკიდებლობისათვის აღძრული ბრძოლები, რომლებიც  
არ გამორიცხავდა შეიძრალებულ გამოსხვლებაც, აიძულებდა  
მონოპოლიებს, მიემართათ ხელისუფლებისათვის, შეერბილები-  
ნათ კოლიგიკა. ხელისუფლება ცდილობს გამონახოს კომიტო-  
მისები და იძულებულია გაითვალისწინოს ადგილობრივი  
მოსახლეობის ინტერესები და კულტურული მოთხოვნილებე-  
ბი. ამ თეალსამრისით მეტად ხელსაყრელი იყო ბიბლიოთეკა,  
რითაც შეიძლებოდა კულტურული დათმობების კარგად



გამოხატვა და ბიბლიოთეკის გამოყენება სასურველი იღებულობის გასაურცელებლად. ლიბერალური ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი ხდებოდა დაარსებულიყო საბიბლიოთეკი საზოგადოებრივი თუ განყოფილებები, როგორც იყო, მაგალითად, ინდონეზიაში, რომელიც ჰოლანდიის კოლონიას წარმოადგენდა. აქ, ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა სახალხო კითხვის განყოფილება, რომელმაც 1942 წლამდე იარსება. ფაქტობრივად ამ განყოფილების კისერზე იყო აღვიღობრივ უნდა წიგნების გამოცემა და ბიბლიოთეკების მომარაგება.

მთელ რიგ შემთხვევებში მეტობელიათა ხელისუფლები იძულებული იყვნენ საკმაოდ მსხვილი საბიბლიოთეკი ცენტრების შექმნაც დაეშვათ კოლონიებში. 1919 წელს დაარსდა ინდოჩინეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც სავალდებული ყალბის დებულობდა ვიეტნამსა, ლაოსსა და კამბოჯაში, თითო ეგზემპლარი პარიზში საფრანგეთის უროვნელ ბიბლიოთეკაში იგზავნებოდა. მაგრამ ეს ბიბლიოთეკა არ იყო უროვნელი. აქ თვით აღვიღობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებსაც კი შერჩევით უშვებდნენ, ისიც მაღალი ფენებიდან.

აფრიკაში არაპეტრი ქვეყნების ბიბლიოთეკებს ამ პერიოდისათვის ფაქტობრივად ან ფორმალურად ინგლისელები, ურანგები, ესპანელები და იტალიელები ფლობდნენ. ამ ქვეყნებს თავიანთი გამოცდილება და გრადიციები შეპქონდათ აღვიღობრივ საბიბლიოთეკი საქმის.

ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთხოვნების საფუძველზე ინგლისი შედარებით მოქნილი და შერბილებული პოლიტიკის გზას დაადგა. ამან კარგი პირობები შექმნა საბიბლიოთეკი საქმის განვითარებისათვის სხვა კოლონიებშიც. ეგვიპტელ ბიბლიოთეკართა მონდომებით აქ ნაციონალური ბიბლიოთეკა ნამდვილ კულტურის ცენტრად იქცა.

შედგა არაბული წიგნების კატალოგები, როგორც ანბანური, უკრაინული ისე სისტემატიკი, აგრეთვე კატალოგები სათაურებზე ხახუჭურისა. შედგა კატალოგები ევროპელ ენებზეც. 1924-1942 წლებში ბეჭდურად გამოისცმოდა არაბული ლიტერატურის კატალოგები. 1929 წლიდან ბიბლიოთეკა შედგა კუმულაციურ წელიწლების შედგენას ყოველთვიური ბიულეტენის ბაზაზე, რომელიც ახალ-ახალ გამოცემებს აღნუსხავდა.

გაიმარჯდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების რაოდენობა. 1927 წელს წარმოიშვა განათლების სამინისტროს ბიბლიოთეკები, 1929 წლიდან – იუსტიციის სამინისტროს ბიბლიოთეკა. 1931 წელს ალექსანდრიაში გაიხსნა ოკეანოგრაფიისა და თევზმჭერის მუერნების ბიბლიოთეკა. 1928 წელს ქაიროში გაიხსნა დომენიკანური ორიენტაციის ინსტიტუტი, რომლის ბიბლიოთეკას საფუძვლად დაედო დომენიკანთა მონასტრების კოლექციები. ქაიროს სამეცნიერო ბიბლიოთეკებს 1939 წელს შეერთდა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკა. ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკა მისაწვდომი იყო მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის. სახალხო ბიბლიოთეკები თითქმის არ არსებობდა.

ინგლისელთა გავლენით ინდოეთის საბიბლიოთეკო საქმე იმ პროფესიით ვითარდებოდა, როგორიც მეგროპოლის მიერ იყო მოწონებული, თუმცა ინდოეთში აღმრული გიგანტური განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო და უფრო უკაფავდა გჩას დამოუკიდებელი, თავისთავადი სისტემის შექმნას. მოძრაობას, რომელსაც ცნობილი პოლიტიკური და სამოგადო მოღვაწე მ. კ. განდი უძღვებოდა, არ შეეძლო გვერდი აექცია საბიბლიოთეკო საქმისათვის, რადგანაც განდის ყველაზე მთავარი საზრუნავი დაბალი ფენების განათლება იყო.

ამ პერიოდში ინდოეთისათვის დამახსასიათებულია მრავალ-პარტიულობა. პარტიათა უმეტესობა დაბალი ფენების ინტერესებს წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშარ-



გლეხური პარგიები და კომუნისტური ორგანიზაცია. ეს იწვევა უსაფრთხოების და სახალხო ბიბლიოთეკების მომრავლებასა და გაძქირებულებას. 1928 წელს პარგიები გაერთიანდნენ სრულიად ინდოეთის მუშერ-გლეხურ პარტიად. მისი ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა დიდად ეწყობდა ხელს ქალაქებსა და პროვინციებში მასობრივი მოხმარების ბიბლიოთეკების წარმოშობას. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძალიან ეკიტა იყო ისეთი უზარმაზარი ქვეყნისათვის, როგორსაც ინდოეთი წარმოადგინდა. ბენგალიაში, მადრასში, პენჯაბში, ბართდას სათავადოში, ქაშმირში, მაისურში და სხვა მხარეებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო დემოკრატიული მოძრაობა, იქმნება საბიბლიოთეკო ასოციაციები. ისინი გახდნენ საყოველთაო მოძრაობის – ბიბლიოთეკების ქსელის შექმნის ინიციატორები. ბენგალიისა და მადრასის პროვინციებში 1935 წელს 119 ასეთი ბიბლიოთეკა გაიხსნა, ბართდას სათავადოში 1939 წელს - 1500. 1942 წლისათვის მთელ ინდოეთში 13 ათასი სასოფლო ბიბლიოთეკა არსებობდა.

ამ ბიბლიოთეკების საქმიანობა არ იყო ერთგვაროვანი – ყოველი პროვინცია თუ სათავადო თავისებურად აგებდა საბიბლიოთეკო საქმეს.

მასობრივი ბიბლიოთეკების საჭიროებათა გამოსავლენად, ბომბევში, 1939-1940 წლებში დაფუქნებულ იქნა სპეციალური კომისია. მისი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა პროვინციების საბიბლიოთეკო ქსელის აგების გეგმა. იგი გათვალისწინებული იყო მოსახლეობის რაოდენობის უმრუნველყოფისათვის. იგეგმებოდა რეგიონში ერთი ცენტრალური, სამი რეგიონ-ალური, რაიონული, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკები. საჭირო სახსრების უქონლობისა და კოლონიური მთავრობის წაყრუების გამო ამ ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. არსებული ბიბ-



ლიოთეკებიც ძალიან დიდ შეჭირვებაში იყვნენ, მეტად კი მათ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ზოგჯერ ახალი წიგნებით დიდი ხნით ფონდების შეუვსებლობის გამო ესა თუ ის ბიბლიოთეკა სულაც იკეტებოდა. ბიბლიოთეკების საორგანიზაციო საქმიანობა დიდ გავლენას განიცემდა ამერიკული სისტემის მიმდევარი ბიბლიოთეკარებისაგან, რომლებიც ბლობად იყვნენ აქ და მისიონერულ იდეებს ავრცელებდნენ. 1931 წელს ბენგალიის, ხოლო 1937 წელ მაღრასის საბიბლიოთეკო ასოციაციებმა შეადგინეს საბიბლიოთეკო კანონები, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მათი გაცნობაც კი არ ისურვა.

ინდოეთში თანდათან უართოვდება საუნივერსიტეტო ქსელი. 1916-1947 წლებში 16 ახალი უნივერსიტეტი გაიხსნა. დასაცავეთ ბენგალიის პროვინციის ვასვა ბხარატის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საფუძვლის ჩამყრელად საყოველთაოდ ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მრავალშერივ სწავლული და მოაზროვნე რაბინდრანაგ თაგორი ითვლება. იგი ყოველდღიურ მშრუნველობას იჩენდა ბიბლიოთეკაზე, ხშირად ესაუბრებოდა სტუდენტებს ბიბლიოთეკის ღირებულებაზე, მათ როლში ერთგული კულტურის შექმნაში. აქტიურად უჭერდა მხარს ფონდთან თავისუფალი დაშვების სისტემის დანერგვას.

1923 წლიდან დაიწყო მაღრასის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდაქმნა, რაც დაკავშირებული იყო თვით უნივერსიტეტის რეფორმაციასთან. ამ საქმიანობაში გამოიწვეულ როლს თამაშობდა მსოფლიო სახელის მქონე ბიბლიოთეკათმცოდნე შნალი რამამრიგა რანგანათანი. მან სპეციალური განათლება ლონდონის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სკოლაში მიიღო. 1924 წელს გახდა რა მაღრასის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მან მოახერხა აემაღლები-



ნა მკითხველთა მომსახურების დონე. უმდიდრესმა თეორიულმა ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას მოეცა ფორმულირება ბიბლიოთეკათმცოდნეობის საყოფალთაღ ცნობილი 5 ძირითადი კანონისა. ამ კანონის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს ბიბლიოთეკების აღმზრდელობითი დანიშნულების აღიარებასა და ბიბლიოთეკის საყოფალთაობაში. ბიბლიოთეკა აღიარებული იყო ბეჭედისობრივ დაწესებულებად. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ის აღწევდა იმას, რომ მკითხველი არა პასიური, არამედ აქტიური პირი იყო თავისთვის წიგნის შერჩევაში. რანგანათანის თეორიული მოსამრებები და მეთოდიკური შეხედულებანი არა მარტი ინდოეთში, მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა, თვით უაღრესად განვითარებულ საბიბლიოთეკო ქვეყნებშიც კი. აღსანიშნავია, რომ მაღრასის ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებული სისტემაგრიური კატალოგის ანბანურ-საგნობრივი საბიბლიონის შედგენის „ჯაჭვური“ მეთოდი გამოყენებულ იქნა „პრიგანეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის“ შესადგენად. რანგანათანმა ყურადღება მიიჰყო იმით, რომ საბიბლიოთეკო შემთხვევის ყოველი სახეობისათვის მოითხოვდა თავისი თეორიული ბაზის შექმნასა და ტექნოლოგიის დამუშავებას. არ არის საბიბლიოთეკო მრომითი პროცესების არც ერთი ცილი, რანგანათანს რომ არ შევტანოს მის განვითარებაში თავისი წვლილი.

ცნობილია, რომ თანამედროვე საკლასიფიკაციო აჩროვნება გარკვეულწილად რანგანათანის იდეების გათვალისწინებით ეითარდება, რომლებიც მან გადმოსცა თავის ნამრომში „კლასიფიკაცია ორწერტილის დახმარებით“. 1928 წელს მაღრასის უნივერსიტეტშია რანგანათანს მიმართა თხოვნით, წაეკითხა ლექციები კლასიფიკაციის შესახებ სამსრუთინდოფის კავშირის კონფერენციაზე, რომელშიც ათასი კაცი



დებულობდა მონაწილეობას. მსმენელთა დიდი გელისფულობითი გამხსნევებულმა რანგანათანმა გადაწყვიტა მოეწყო ინდოეთში საბიბლიოთეკები საქმის ორგანიზება. მაღრასის საბიბლიოთეკი ასოციაციის ინიციატივით 1929 წელს რანგანათანმა მოაწყო ბიბლიოთეკართა მომზადების კურსები. ოთხი წლის შემდეგ კურსები სკოლად გადაკეთდა. სწორედ აქ მუშაობის დროს შექმნა მან თავისი ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეცნიერელი საფუძვლების 5 კანონი.

მიეხედავად ეროვნული ძალების ენერგიული ცდისა, კოლონიურ პირობებში ინდოეთის საბიბლიოთეკო საქმეს არ შეეძლო რაიმე შესამჩნევი წარმატებისათვის მიეღწია. მასები, ფაქტობრივად, სავსებით მოკლებული იყვნენ საბიბლიოთეკი მომსახურებას. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ ბიბლიოთეკების ფონდების გადამჭრელი უმრავლესობა ინგლისურ წიგნებს შეადგენდა.

პირველმა მსოფლიო ომმა საგრძნობლად გამოაცოცხლა სამხრეთ აფრიკის უმეტესი ქვეყნების ეკონომიკა. შედარებით მშეიძლიან, არასაორმარ ტერიტორიაზე მყოფ ქვეყნებს სამუალება მიუკა ეკორძის დანგრეული მრეწველობისა და მეურნეობის ნაცვლად, თავიანთი პროდუქციის საგარეულო ბაზებზე შეგანთ გამოეცოცხლებინათ ეკონომიკა. მექსიკაში, ჩილეში, პერუში, არგენტინაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში სწრაფი გემპით ვითარდება ქალაქები, სამრეწველო რაიონები; სხვადასხვა სახელმწიფოებს განსაკუთრებით ამ ქვეყნების სამდიდრები იზიდავს, ძირითადად იაფი ნედლეულის ბაზარი. მიუხედავად ლათინური ამერიკის ქვეყნების მდიდარი რესურსებისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ეკონომიკურად და პოლიტიკურად სხვა ქვეყნებშე იყო დამოკიდებული, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისშე ამ პერიოდში თავს იჩენს შასების მოძრაობა



სოციალური მდგრადარეობის გაუმჯობესებისათვის. მოგიერთ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის მებრძოლი მმრომელები, ნაციონალურად განწყობილი ბურჟუაზია და ინტელეგტუალის ერთი ნაწილი სახალხო ფრონტში ერთიანდება. ყოველივე ეს იძულებულს ხდის ხელისუფლებას, ურო მეტად იზრუნოს დაბალ ფენებზე. ეს ხელსაყრელია საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებისათვის.

1921 წელს მექანიკის განათლების სამინისტროსთან შეიქმნა საბიბლიოთეკო საქმეთა დეპარტამენტი, რომლის ძირითად საქმიანობას შეადგენდა წიგნების განაწილება მასობრივ და სასკოლო ბიბლიოთეკებს მორის, რომელებიც წარმოადგენდა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრებს.

1928 წელს არგენტინის მუნიციპალური ბიბლიოთეკების სამართველომ დედაქალაქის საჯარო ბიბლიოთეკები ერთ სისტემაში გააერთიანა. ამან ხელი შეეწყო ბიბლიოთეკების გამრავლებას. 40-იანი წლების დასაწყისისათვის ქვეყნად 1,5 ათასი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა.

ბრაზილიის მთავრობამ სცადა უფრო აქტიურად შეეწყო ხელი ბიბლიოთეკებისათვის. ამ მიზნით 1937 წელს მეიქმნა წიგნის ნაციონალური ინსტიტუტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკების საქმიანობას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების სოფლის მოსახლეობა – მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები, განვები და ინდიელები საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე იყვნენ დაწენილი.

ლათინური ამერიკის ქვეყნების სამეცნიერო ბიბლიოთეკების განვითარება საყრძნობლად უსწრებდა აბისა და აფრიკის ქვეყნების ბიბლიოთეკების საქმიანობას, მაგრამ ძალიან ჩამორჩებოდა განვითარებული ქვეყნებისას. დიდი



სამეცნიერო ბიბლიოთეკები კონცენტრირებული იყო ქალაქებში – ბუენოს-აირესში (არგენტინა), რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია), სანქთიაგოში (ჩილე), მეხიკოსა და სან-პაულოში (მექსიკა). არგენტინის 40 სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკიდან 30 ბუენოს-აირესში იყო.

სრულიად განსხვავებულად ვითარდებოდა ამ ქვეყნებში ნაციონალური ბიბლიოთეკები. არგენტინაში, ბრაზილიასა და მექსიკაში ნაციონალური ბიბლიოთეკები, მიუხედავად მრავალი სიძნელისა, მაინც ახერხებდნენ როგორდაც თავიანთი უენციების შესრულებას, განსაკუთრებით ნაციონალური ბეჭდური პროდუქციის შეგროვებას, მაგრამ სხვა ქვეყნის ნაციონალური ბიბლიოთეკები კი საფხებით სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ – არ გააჩნდათ შესაფერისი შენობები, ცედალ იყო ფორმირებული ფონდები, არ ჰყავდათ კვალიფიციური კადრები, ფაქტობრივად, ისინი ვერ ახერხებდნენ შეესრულებინათ ეროვნული ბიბლიოთეკის როლი. ასეთ მდგომარეობაში იყო, მაგალითად, ნიკარაგუას, პარაგვაის, ეკვადორის და სხვა მცირე ქვეყნების ბიბლიოთეკები. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ დაარსდა ეროვნული ბიბლიოთეკები კოლუმბიასა და პაიგში.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ნაციონალური ბიბლიოთეკების უმეტესობა კონგრესის ჩვეულებრივ ბიბლიოთეკებს წარმოადგენდა. ხმირ შემთხვევაში მათ შეარში უდგას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა არგენტინის, ბრაზილიის, კოლუმბიის, მექსიკისა და ურუგვაის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები. ისინი საკრძნობლად განსხვავდებოდნენ მუშაობის ხასიათით, მასშტაბებით, პირობებით ისევე, როგორც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აღნიშნული უნივერსიტეტები.

სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის განვითარებაში სპეციალ-



ური ბიბლიოთეკების მომრავლება გამოიწერა. მაგალითთად მომდევნობაში კალდოს დეპარტამენტი 1947 წელს დაარსდა ბიბლიოთეკა, რომელიც მხოლოდ ყავის შესახებ აგროვებდა ლიტერატურას სრულყოფილად. ერთი წლის შემდეგ გაიხსნა გეოლოგიური სამსახურის ბიბლიოთეკა. 1937 წელს არგენტინის დედაქალაქში – ბუენოს-აირესში – მოქმედებას იწყებს სტანდარტების ბიბლიოთეკა. იმრედება მოთხოვნილება სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციაზე. მისი დაკმაყოფილების მიზნით, მექსიკაში 1924 წელს შეიქმნა საცნობო ლიტერატურის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 1937 წელს ეკვადორში წიაღისეული სიმდიდრისა და ენერგეტიკული რესურსების მთავარმა სამმართველომ გახსნა სპეციალური ბიბლიოთეკა, რომლის მთავარი მიზანი იყო დაწესოს სგაგისტიკური მონაცემების დამუშავება და სპეციალისტთა ინფორმირება.

ეროვნული თვითმეცნიების მრავაშ და კულტურის განვითარებაშ ხელი შეეწყო მრავალი კვლევითი ინსტიტის შექმნას. მათ შემადგენლობაში საკმაოდ კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკები შედიოდა. ისინი ძირითადად მხარეთ მცოდნეობითი ლიტერატურის სრულად შეკროვებით იყვნენ დაინტერესებული.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ბიბლიოთეკები ძლიერ გეგავლენას განიცდიდნენ ინგლისერ-ამერიკულ საბიბლიოთეკო საქმის მხრივ როგორც მეთოდიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ შეერთებულ შტატებში დანერგილ საბიბლიოთეკო ტექნიკური სამუალებების გადმოღებას. ამ პერიოდში იმდენად მემზადდა ნიადაგი, რომ უკვე 41-იანი წლებიდან ლათინური ამერიკის მოწინავე ქვეყნებში საბიბლიოთეკო ტექნიკური სამუალებების გამოყენება საკმაოდ მაღალ დონეზე დადგა. მექანიზაცია ხელს უწყობდა საბიბლიოთეკო მრომის არა მარტო მეც-



ნიერულ ორგანიზაციას, არამედ ფორმებისა და მეთწლეულებებისა უნიფიცირებასაც.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ბიბლიოთეკებში ამ პერიოდში ჯერ კიდევ დაბალია ბიბლიოთეკის მუშაკთა კვალიურიკაციის დონე, ცუდადაა დაყენებული კადრების მომზადების საქმე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებშიც იჩენს თავს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და წიგნის წარმოების თეორიით დაინტერესება. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსაბაზის ჩილელი ხ.ტ. მელინა - მრავალი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომის ავტორი. მის კალამს 70-ათასშე მეტი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ეკუთვნის, დაწერილი აქვს 7.500 ცნობილი პიროვნების ბიბლიოგრაფია. იგი არის ჩილეს ნაციონალური რეგროსპექტული ბიბლიოგრაფიის ფუძემდებელი. მან 1925 წელს 40-ათასიანი კოლექცია უსასყიდოდ გადასცა ჩილეს ეროვნულ ბიბლიოთეკას.

მიუხედავად მრავალი უარყოფითი მოვლენისა, რაც თან ახლა კოლონიურ პოლიტიკას, კულტურის დარგში მეტროპოლიტებს მაინც ბევრი პოზიტიური რამ შეპქონდათ კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმეში, რამაც შემდგომში დადგებითი როლი ითამაშა დარგის განვითარებისათვის.





## 1.4. საბიბლიოთეკო საერთაშორისტი ერთიანობა

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის დაწყებული საერთაშორისო კონგრესი 20-30 წლებში უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. საერთაშორისო ურთიერთობა მრავალგვარი ფორმით ხორციელდება. ომის შედეგად გაწყვეტილი ურთიერთკავშირები კვლავ აღსდგა. თავისი საქმიანობა განაახლა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა, მიიღო ახალი წესდება და თანამედროვე მოთხოვნილებათა საფუძველზე ააგო თავისი საქმიანობა. 1931 წელს ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა დოკუმენტაციის საერთაშორისო ინსტიტუტი. 1937 წელს ის დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციად იქნა რეორგანიზებული.

ყველაზე დიდ და თვალსაჩინო მოედუნად უნდა ჩაითვალოს 1927 წელს საბიბლიოთეკო ახორციელებათა საერთაშორისო ფედერაციის შექმნა („იფლა“). მისი უმთავრესი ამოქანა იყო საერთაშორისო მასშტაბით ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია მოქმედინა და ხელი შეეწყო მათი კოოპერირებისათვის. თავდაპირველად „იფლა“ ჩაისახა საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული საერთაშორისო კომიტეტის სახით, რომელიც ედინბურგში შეიქმნა დაღი ბრიტანეთის საბიბლიოთეკო ახორციელების 50 წლისთავისადმი მიმღენილ კონფერენციაზე. რომელსაც 14 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

1928 წელს რომში 11 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომ საორგანიზაციო საკითხები გადაეწყვიტათ.

საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ქვეყნიმისიები: კლასიფიკაციის, კატალოგიზაციის, ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოგრაფიულ აღწერილობათა შემოკლებების დამდგენი, საბიბლიოთეკო განათლებ-



ის, საბიბლიოთეკით კანონმდებლობისა.

საქართველოს  
განცხადების

1929 წლისათვის კომიტეტის შემადგენლობაში 29 პსოფია-  
ცია შედიოდა. ეწოდა მას საბიბლიოთეკით ასოციაციათა საერ-  
თაშორისო ფედერაცია (‘იულა’), მის აღმასრულებელ ორგა-  
ნის – საერთაშორისო საბიბლიოთეკით კომიტეტი, რომლის  
მდივნად 1930 წელს არჩეულ იქნა გ. კ. სევენისი. მას ევალებო-  
და 5 წელიწადში ერთხელ მოწვია კონგრესი, დაქმუშავებინა  
მათი პროგრამები, გაეთვალისწინებინა კონგრესებს მორის  
წამოყენებელი წინადადებები და სიახლეები, რომელთაც ის  
პერიოდულად იხილავდა სხდომაზე. საერთაშორისო საბიბ-  
ლიოთეკით კომიტეტთან არსებობდა ბიუროც, რომელიც ყოველ-  
წლიურად იკრიბებოდა თავის სესიებშე მრეწველენების საან-  
გარიშო-საინფორმაციო მოხსენებების მოსასმენად. 1930 წლ-  
იდან ეს პოსტი ფუნქციის მემკვიდრეობის ურთვენული ბიბლიოთეკის  
დირექტორს მარსელ გოდეს. სესიებშე ისმენდნენ აგრეთვე  
მდივნის ანგარიშს, იხილავდნენ საჭირობოროგო საკითხებს.

ამ პერიოდში საერთაშორისო კულტურულ ურთიერთო-  
ბებშე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენდა ურთა ლიგა, რომელიც მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას უწევდა  
ხელმძღვანელობას. ამ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ  
საერთაშორისო ღონისძიებებს კურირებდა ორი ორგანიზა-  
ცია: ბიბლიოფრაფიული ქვეკომისია ექნევაში და საბიბლიოთეკ-  
ით კომისია პარიზში.

1929 წელს რომსა, ვენეციასა და ფლორენციაში ჩატარდა  
საერთაშორისო საბიბლიოთეკით კონგრესი, სადაც 18 ქვეკო-  
მისია მუშაობდა და 180 მოხსენება იქნა მოსმენილი. მოხ-  
სენებები საბიბლიოთეკით საქმიანობის მრავალ სფეროს შე-  
ეხო: ბიბლიოფრაფიული აღწერილობებში შემოკლებებს,  
წიგნებისა და ხელნაწერთა დაცვის უზრუნველყოფას, ბიბ-  
ლიოთეკის თანამშრომელთა ურთიერთულას, სავალდებუ-



ლო ეგზიმპლარებით ბიბლიოთეკების მომარავებას, ბმა-ს, უსოფურული ნაბეჭდი პროდუქციებისა და დისერტაციების გაცვლას და მრავალ ორგანიზაციულ პრობლემას.

ფედერაციის მეორე კონგრესი მადრიდსა და ბარსელონაში ჩატარდა 1935 წელს. ამჯარად შეიმჩნეოდა პოლიგიკური დაძაბულობა და ეკონომიკური კრიზისის გავლენა. კონგრესს თრიჯერ ნაკლები წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არსებული ვითარების ანალიზი გააკეთა ფედერაციის ახალგა მოყვითალონტმა ე.ე. ბიშოპმა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1932 წელს იქნა აღმიერდა. კონგრესში მიიღო გადაწყვეტილება ურთიერთეკუმირების გაფართოების შესახებ. კონკრეტულად საქმე ეხებოდა საერთაშორისო აბონემენტის გააქტიურებას, რისთვისაც რეზოლუციაში შემოთავაზებული იყო, რომ ყველა ქვეყანაში შექმნილი ინფორმაციის ეროვნული ბიუროები, რომლებიც შეადგენდნენ თავიანთი ქვეყნების სამეცნიერო ბიბლიოთეკების შეერთებულ კატალოგებს. განხილულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

1926 წელს შეიქმნა სტანდარტიზაციის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია.

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული საერთაშორისო კავშირები რეგიონალურადაც იქმნებოდა. ამ თვალსაბრივით სანიმუშო იყო სკანდინავიის ქვეყნების მაფალითი. 1919 წელს დანიაში, ნორვეგიასა და შვეციაში, 1922 წელს ისლანდიაში, 1924 წელს უინგთში შეიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული გაერთიანებები - „ნურდენი“ (ჩრდილოეთქვეყნები). ის ხელს უწყობდა სკანდინავიის ქვეყნების კულტურის, ლიტერატურის, წიგნმცოდნებისა და საბიბლიოთეკო საქმის თანამშრომლობის აქტივისტების.

საერთაშორისო კონტაქტები თითქმის ყველა მიმართულებით გაფართოვდა, ხელმოწერილ იქნა მრავალი ურთ-



იერთხელმექულება ბძანს, წიგნივლის, მივლინებების შემთხვევაში გამყარდა კავშირი საბიბლიოთეკით ასციაციებს მორის, პრაქტიკაში დაინერგა ცნობილი სპეციალისტების მოწვევა, ბიბლიოთეკების მუშაქთა გაგზავნა უცხოეთში სპეციალური განათლების მისაღებად.

აღნიშნულ პერიოდში იწყებს ფენქციონირებას საერთა-მორისო ბიბლიოთეკებით. 1919 წელს ლონდონში დაარსდა ერთა ლიგის ბიბლიოთეკა, რომელიც 1920 წელს ექვევაში გადავიდა, სადაც ამ ორგანიზაციის სამდივნო იმყოფება. ამ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ცნობილი საბიბლიოთეკო მოღვაწე ტ.პ. სევენისი.

1935 წელს რომში მოქმედებდა სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა. აქ მეტად მდიდარი სპეციალური ლიტერატურა იყო თაგმოყრილი მრავალ ენაშე, განსაკუთრებით ჭარბობდა ინგლისურენოვანი წიგნები. მთავარი ყურადღება საცნობო-ბიბლიოფრაფელ მუშაობის ენიჭებოლდა. განსაკუთრებლად საფუძვლიანად მუშავდებოდა პერიოდიკუს მასალა და სამეცნიერო გრძელდებადი გამოცემები. ამ ფართო სპექტრით ჩეგავლენა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ საქმიანობის სრულყოფის მიზნით, ვატიკანში 1927 წელს გაიმართა კათოლიკურ ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენცია. ამ ხანებში უკვე საქსებით ჩამოყალიბებულია ორი საპირისპირო იდეოლოგიის ურთიერთობები. კათოლიკური ეკლესია ცდილობს წიგნის მემკეობით არ გავრცელდეს სოციალისტური მოძრაობა, ხოლო მეორე მხრივ, საქმაოდ მძლავრ ახლადშექმნილ გიგანტურ სახელმწიფოში – საბჭოთა კავშირში ბოლშევიკური პარტია განუკითხავ დიქტატს მიმართავს. ამის გამო საერთაშორისო თანამშრომლობა საქმაოდ გართულებულია და შედარებით ცალმხრივი ხასიათისაა. საბჭოთა კავშირი ძალიან მოკრძალებულ ადგილს იჭერს.



საერთაშორისო ორგანიზაციებში ძლიერდება პოლიტიკური განვითარების სულისკვეთების საქმიანობა. ამას ხელს უწყობს მსოფლიოში პოლიტიკური დაბაბულობის აღმოსფერო, რაც ბოლოს და ბოლოს, 30-იანი წლების დასასრულს მეორე მსოფლიო ომში გადაიტარდა.

&&



2. საბილიტეპი საქაო მერიე მცნვლით კულტურული  
აერიოდში (1940-1945)

მეორე მსოფლიო ომი 6 წლის განმავლობაში მძვინვარებდა (1939 წ. სექტემბერი – 1945 წ. სექტემბერი) და თავისი გამანადგურებელი ძალით მანამდე წარმოებულ ყველა ომს დიდად გადააჭარბა. ამ წლებს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაშიც. მთლიანად დაირღვა ყოველგვარი საერთაშორისო კონგაქტები, ფიზიკურად განადგურდა მრავალი ბიბლიოთეკა, ბევრიც დაბარალდა. ომში 61 ქვეყანა იყო ჩაბმული და ამათვან 40 ქვეყნის ტერიტორიაზე განვითარდა საომარო ოპერაციები სხვადასხვა ძალითა და შასმტაბებით.

პირველად სერიას სახალხო ბიბლიოთეკაში განიცადა თავდასხმა. 1941 წ. 6 აპრილს საპატიო თავდასხმის დროს იგი მთლიანად დაინგრა და დაიწვა. დაიღუპა მე-12-18 საუკუნეების ხელნაწერები, შესრულებული კირილიცას ანბანით, სექციები მთანთქა უამრავი დოკუმენტი, დაიღუპა ინკუნაბულთა კოლექცია, ძველნაბეჭდი წიგნები.

1940-1941 წლებში საავიაციო ფეხბარები ცვივოდა ლონდონის ბიბლიოთეკებზე. ბრიტანეთის მუზეუმის 250 ათასი წიგნი იმსხვერპლა მის ულიცელში გამოწვეულმა ნგრევამ. ანალოგიური მოვლენები სხვა ქვეყნებშიც ხდებოდა. ბომბარდირების შედეგად დაიღუპა როგორდამის, პააგის, ბრიტანელის ბიბლიოთეკების ფონდების დიდი ნაწილი. უკინ დახვევის დროს გერმანელებმა დაწვეს ნიმუშების (ჰოლანდია) უნივერსიტეტისა და მონასტერების ბიბლიოთეკები, სოფიის ბომბარდირების დროს დაიწვა ბელგარეთის ყველაზე დიდი საქალაქო ბიბლიოთეკა. დაპყრობილ ქვეყნებში ფამისტებს წესად ჰქონდათ – ანადგურებდნენ იმ წიგნებს, რომლებიც მათ არ ესაჭიროე-



ბოლათ, რაც მოსწონდათ, ალაუეს სახით სხვა ტეირუას ნიუთებთან ერთად თავიანთ ქვეყნებში გაპქონდათ.

გერმანია-იტალია-იაპონიის ბლოკის ქვეყნები ე.წ. „გადანაწილების“ გეგმას ისახავდნენ, რისთვისაც საჭირო იყო აღილობრივი მოსახლეობის გენოფონდის მოსპობა, მათი კულტურის განადგურება და საკუთარის დამკვიდრება. ამისათვის ისინი არ ერიდებოდნენ წიგნების აკრძალვა-მოსპობასაც, რომ აღილობრივ მოსახლეობამი კულტურული ფესვი აღმოექმნათ. მაგალითად, იაპონიის საოკეპაციო ხელისუფლების განკარგელებით მანხაისა და ნანკინში მთლიანად მოსპეს 15 ბიბლიოთეკა. სამდვართან მომიჯნავე გერიგორიებზე გაუნადგერებელი არ დარჩენილა არც ერთი უმაღლესი სასწავლებლისა თუ კოლეჯის ბიბლიოთეკა. იაპონიის ავიაციაში დიდი ზიანი მიაყენა ავრეთვე ავსტრალიისა და ფილიპინებს ბიბლიოთეკებს.

გერმანელ ფაშისტთა ურდოებში თითქმის მთლიანად დაცალეს პოლონეთის ბიბლიოთეკები. ბევრი ბიბლიოთეკარი დახვრიცეს, დაწვეს და გაანადგურეს უძვირფასესი წიგნსაცავები და არქივები. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე – 1935 წლიდან გერმანიის სახელმწიფოსთან შეირთებულ პოლონერ მიწებზე ფაშისტები შეთოდერად სპობდნენ პოლონერ ბიბლიოთეკებს. 1941 წლამდე ოკუპანტებმა აქ 102 ბიბლიოთეკა გაძარცვეს. განსაკუთრებული გულმოდგინებით ისინი სამეცნიერო ბიბლიოთეკებს ძარცვავდნენ, სპობდნენ წიგნად ფონდებს, კატალოგებს, ინვენტარს. ყველა დიდი ბიბლიოთეკის დირექტორად გერმანელებს ნიშნავდნენ. გამუდმებით მიმდინარეობდა ფონდების „წმენდა“. მხოლოდ ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკა დაუტოვეს პოლონელებს, სადაც ჯერ კიდევ ნებარდართული იყო პოლონელთა მოვაწეობა, მაგრამ 1942 წელს ეს ბიბლიოთეკაც დახურეს.



1940 წელს ნაციონალური ბიბლიოთეკა და ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთიან დაწესებულებად გადააქციება. 1944 წელს ვარშავის აჯანყებისას გერმანელმა თკა-პანგებმა გაანადგურებს ამ ბიბლიოთეკის ფონდი. პოლონეთის ბიბლიოთეკებში დაცული 22,5 მილიონი წიგნიდან მხოლოდ 7,5 მილიონი გადარჩა.

ომის დროს ჩეხოსლოვაკიის ბიბლიოთეკების 5,3 მილიონი ბუჭდური და ხელნაწერი წიგნი განადგურდა. განსაკუთრებული მასობრივი ბიბლიოთეკები დამზარალდნენ.

1940 წ. გამაფხულზე გერმანიის ჯარებმა პარიზის, საფრანგეთის ჩრდილოეთისა და აგლანგიკიის მთელი სანაპიროს ოკუპაცია მოახდინებს. პარიზის ნაციონალური და სხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან „შავი სიების“ მიხედვით ამოღებულ იქნა უამრავი „არასასურველი“ წიგნი, თანამშრომელთა უმრავლესობა მობილიზირებული იყო ტყვეთა საქმეთა ბიუროში სამუშაოდ, ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი ერელენ კენი 1941 წელს ბუხენვალდის საკონსენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს. მთლიანად დაირღვა საფრანგეთის საბიბლიოთეკო სისტემა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, დაყურობილ ტერიტორიუბზე აქ მთლიანად ნადგურდებოდა ბიბლიოთეკები, საბჭოთა წიგნის დაცვა და კითხვაც კი იქმნალებოდა. ქვეყნის უბარმაპარ ტერიტორიაზე მთლიანად მოისპონ საბიბლიოთეკო ნაგებობები და წიგნები.

როდესაც ომის ქარცეცხლშა მათ ტერიტორიებზე გადაინაცვლა, ომმა არ აგრესორი ქვეყნების ბიბლიოთეკები დაინდო. მაგალითად, მთლიანად განადგურდა გერმანიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ბერლინში, ლეიპციგის ნაციონალური ბიბლიოთეკა, აგრეთვე დიდად დამზარალდა ბიბლიოთეკები დონებდენში, ფრანკფურტში მაინშე და სხვა დიდ ქალაქებში.



გასობრივი ბიბლიოთეკების უმრავლესობა თითქმის მთლიანად აღინიშნა პირისაგან მიწისა. საბჭოთა ჯარების მიერ გერმანიიდან ტროფეის სახით ასეულ ათასობით წიგნი იქნა გაფანილი, რომელთა ერთი ნაწილი შემდგომში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუბრუნდა, მაგრამ თავის დროს მათმა გატანამ ქვეყნის ფარგლებიდან დადი სიძნელეები შეუქმნა გერმანიის საბიბლიოთეკო საქმის მშენებლობას.

როგორც ცნობილია, ფაშისტური უღლის ქვემ თმის პერი-  
ოდში მრავალი ქვეყანა და უზარმაშარი ტერიტორიები აღ-  
მოსწოდა. ოკეპანტები ანგიეროვნულ პოლიტიკას ახორ-  
ციელების დაპყრობილ მხარეებში. უმეტეს ნაწილში საწ-  
ინააღმდეგო ეროვნული მოძრაობა იყო გაჩაღებული. პარ-  
ტიზანული და იატაკქვეშეთის ორგანიზაციები ცდილობდნენ  
თავიანთი პატრიოტები გრძნობების პროპაგანდისათვის  
წიგნების გამოყენებინათ და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს  
არალეგალური ლიტერატურის გავრცელებას. ოკეპირებულ  
ქვეყნებში მცირე-მცირე არალეგალური ბიბლიოთეკებიც კი  
მოქმედებდა. ლეგალურ ბიბლიოთეკებშიც მიმდინარეობდა  
ფარულად ანგიფაშისტური ლიტერატურით მუშაობა, გამ-  
ოცემოდა მრავალი პროკლამაცია, უნებართვი გამჟეთები და  
ფურცლები. როგორც კი თავისუფლდებოდა ოკეპირებული  
ტერიტორია, აյ მაშინვე იწყებოდა ბრუნვა საბიბლიოთეკო  
საქმის აღდგენისათვის. უძირველეს ამოცანად ითვლებოდა  
შასობრივი ბიბლიოთეკების ამოქმედება. ჯერ კიდევ თმის  
მსვლელობისას მოკავშირეები გარკვეულ ღონისძიებებს მი-  
მართავდნენ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომელთა ბიბ-  
ლიოთეკები დაბარალდნენ თმის შედეგად. ღონისძიებები სახ-  
ალხო განათლების შედმივმოქმედ საერთაშორისო ბიურო-  
სთან შექმნილი იყო კომპანია, რომელიც ხელმძღვანელობ-  
და წიგნების შეკრიუების საჭიროების საჭიროებისათვის, რომელთა



ბიბლიოთეკებმა გადაიგანეს ომის საშინელებანი. გვიპლიტის სავსებით სხვა მდგომარეობა იყო იმ ქვეყნებში, რომელთაც საომარი მოქმედება არ შეხებია. ამ შხრივ ამერიკის შეერთებული შტატები გამორჩეულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქ კვლავ იყო საშუალება საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფაზე მრუნვისათვის. სამხედრო კომპლექსის განვითარება, ფლოტის, ავიაციისა და კომუნიკაციის საშუალებათა გაუმჯობესების მოთხოვნილება კიდევ უზრო მრდიდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების მნიშვნელობას. მათი რიცხვი ისევ იმრღვებოდა, განსაკუთრებით გაფართოვდა ინფორმაციული სამსახური, იხვეწებოდა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. ყოველივე ეს მოითხოვდა დაკომპლექსების, საკანალოგო მეცნიერების, ფონდების დაცვის დასხვა სამუშაო პროცესთა გაუმჯობესებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ადრე, ვიდრე სხვაგან, ბიბლიოთეკა იქცა წარმოების საშუალებად. ვერც ერთი დიდი ქარხანა თუ ფაბრიკა, დაწესებულება თუ საწარმო, კონკრეტი თუ სხვადასხვა სახის გაერთიანება კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული სამსახურის გარეშე ვერ გაჩერდებოდა, თუ მას არ სურდა დაუნდობელი კონკრეტული პირობებში განადგურებული აღმოჩენილიყო. ამან გამოიწვია საბიბლიოთეკო და ინფორმაციული საქმიანობისათვის ხელშეწყობა, მათი მაგერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესება, რაც საერთო ჯამში ხელსაყრელი აღმოჩნდა მთელი საბიბლიოთეკო საქმისათვის.

განსაკუთრებით დიდი ყერადღება დაეთმო შრომის მეცნიერეულ ორგანიზაციის. მიმდინარეობდა მუშაობა ეფუძნული ამაღლებისა და ახალი ტექნოლოგიების დაწერვისათვის.

1942 წელს ქ. ფარმინგტონში – კონკრეტული შტატში – აშშ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა ასოციაციამ ჩაატარა თათ-

ბირი დაკომპლექტების პრობლემებზე. დღის წესრიგში იდგა საერთო ეროვნული დაკომპლექტების კოორდინირების საკითხი. გადაწყვდა, ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკას ბარათუბის ფორმით მიეწოდებინა კონგრესის ბიბლიოთეკისათვის მათ მიერ ახლადმიღებული ლიგერაგურის აღწერილობები. ამასთან, მიმანშეწონილად იქნა მიწნეული დაკომპლექტებისას არა ყველაფრის შეძენა, არამედ ფონდების დიფერენცირებულად შევსება – როდესაც ბიბლიოთეკებს შორის განაწილებულია პრიორიტეტები დარგები. ფარმინგტონის გეგმის შესაბამისად ბიბლიოთეკები, მათ შორის თვით კონგრესის ბიბლიოთეკაც, ბედინწვნით მკაცრი შერჩევის საფუძველზე ახდენდა ფონდების შეძენას, განსაკუთრებით უცხოეთის ქვეყნებიდან.

1942 წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკა შეუდგა ნაციონალური წიგნის ბარათული კატალოგის მიერთვილმირებას. 1942 წლიდან 1946 წლამდე 167 ტომი გამოიცა. მყარი საფუძველი ჩაეყარა საცნობო მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების პროცესს. კონგრესის ბიბლიოთეკა გადავიდა მთავრობის წევრების საღებავისო მომსახურებაზე.

დიდი ყურადღება დაეთმო სამხედრო პირთა მომსახურებას. ქალაქ როდ-აილენდის ბიბლიოთეკაში სპეციალურად იქნა ფორმირებული ფონდი, შემდგარი სამხედრო ლიტერატურისაგან. საჯარო ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული გელასყურით ემსახურებოდნენ დემობილიზებულ მკითხველებს. ნიუ-იორკში დემობილიზებულებისათვის სპეციალური ცენტრალური ბიბლიოთეკაც კი გაიხსნა.

მოქედავად საბიბლიოთეკო საქმიანობის მაღალი დონისა, მაინც იყრინობოდა ომის აგმოსფერო – შენელდა ბიბლიოთეკათმცდოდნეობითი მუშაობა, შოგი საჯარო ბიბლიოთეკა ვერ ახერხებდა ახალ ფორმებსა და მეთოდებზე



გადასვლას, იყრძნობოდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უზრუნველყოფის გათარების საქმეში გადამეტებული მომსახურება, მაგრამ არც ერთი წევთით არ გაუარესებულა მოსახლეობისა და სპეციალისტთა საბიბლიოთეულო მომსახურება, საპროპაგანდო და საინფორმაციო საქმიანობა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მიმდინარე პერიოდი კაბიე. თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში შეიმჩნეოდა წიგნბრუნვის ზრდის მდგრადობა. მიუხედავად ამისა, იყო მოსახლეობის უენტი, რომლებიც სავსებით მოკლებულნი ან არასაკმაოდ იყვნენ უზრუნველყოფილნი საბიბლიოთეულო მომსახურებით. ამერიკული სტატისტიკით ამგვარი იყო მოსახლეობის 27%.

მეორე მსოფლიო ომმა თავისი გავლენა იქონია იმ ქვეყნებშეც, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული ომში. შეერთებულმა შტატებმა მოახერხა ლათინური აშერიყიდან სავსებით გაედეჭნა თავისი კონკურენტები და აქ მთლიანად თავისი გავლენა გაევრცელებინა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დარგებსა და კულტურაზე. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში მაინც ენერგიულად იწყებს განვითარებას ეროვნული მრეწველობა, იმრდება მოძრაობა სრული დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის საბრძოლო წარმატებებთან ერთად ამერიკის კონტინენტზე იმრდება ამ ქვეყნის მიმართ სოლიდარობის საქმიანობა. უნივერსიტეტები, სპეციალური ინსტიტუტები, სამეცნიერო ცენტრები და ბიბლიოთეკები სულ უფრო და უფრო ინტერესდებიან საბჭოთა კავშირით, მისი ცხოვრებითა და კულტურით. ჩაისახა ერთგვარი სითბო საბჭოთა კავშირისა და სხვა მოკავშირეთა შორის.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამ პერიოდში იწყება დაინტერესება საკუთარი შეცნიერული რესურსების ამოქმედებით, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას. ამის შედეგად შეიძლება ჩაითვა-



ლოს, მაგალითად, 1942 წელს პერუში ქალაქ გინგი-მარიაშვილის მიერ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-ექსპერიმენტული ცენტრის ბიბლიოთეკის გახსნა; ბრაზილიაში 1940-1947 წლებში 5 ახალი უნივერსიტეტი გაიხსნა კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკებით. 1942 წელს აქ იწყებს მოქმედებას კოოპერიორებული კატალოგის სამსახური. არგენტინის პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში სამეცნიერო ბიბლიოთეკების ბაზაზე შედგა მეცნიერებული პერიოდიკის შეერთებული კატალოგი. 1943 წელს ხანძარმა შთანთქა პერუს ეროვნული ბიბლიოთეკა. 22 ქვეყნიდან 4 წლის განმავლობაში აგროკუპებდნენ აქ წიგნებს, რომ როგორმე აღედგინათ დაღუჟელი ეროვნული საუნჯე. ომით გამოწვეული ბიბლიოთეკების გაპარტახება შძიმე დანაკლისად დარჩა მრავალ ქვეყანას. სხვა სამუშაოებთან ერთად, ომის დამთავრებისთანავე თითქმის ყველგან ბიბლიოთეკების აღდგენა პირველი რიგის საქმედ ითვლებოდა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნების ურთიერთდახმარებასა და ხელშეწყობას. ამ თვალსაზრისით, ურიად მნიშვნელოვანი იყო 1945 წელს შეერთებული მტაფების საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივით ამერიკული დახმარების ფონდის შექმნა იმ ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც ომშა დააშიანა და გაანადგურა. ეს ფონდი შექმნილი იყო როგორების კაპიტალით და გათვალისწინებული იყო მირიან და გამარჯვებული ერთობების შექმნა და ბიბლიოთეკებისათვის. ამ მოძრაობაში ჩაბმული იყო აგრეთვე ამერიკული საბიბლიოთეკო ასოციაცია. საბჭოთა კაუშირი, აღადგენდა რა თავის დანაკრეულ მუნიციპალიტეტების, ახერხებდა ხელი შეეწყო სხვა ქვეყნებისათვის საბიბლიოთეკო საქმის აღსადგენად. ეს ხელს უწყობდა ე.წ. სოციალისტური ბანაკის ჩამოყალიბებასა და მისი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნას.



მიუხედავად დიდი შეფერხებებისა საბიბლიოთეკო მუზეუმის  
და ბიბლიოთეკათმცოდნების განვითარებაში, ომის დრო-  
საც, თუმც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, მოღვაწეობდნენ საბიბ-  
ლიოთეკო საქმის თეორიაშიც. გამოქვეყნებული შრომები  
ძირითადად ახალ პრობლემებს სახავენ, უმთავრესად ბიბ-  
ლიოთეკების ინფორმაციული საქმიანობის დარგში. ბევრი  
ნაშრომი ეძღვნება ბიბლიოთეკების მშენებლობას, მათი თრ-  
განიშაცის საკითხებს.

საერთოდ, ომის პერიოდის საბიბლიოთეკო საქმისათვის  
თითქმის ყველა ქვეყანაში დამახასიათებელია ერთი თავისე-  
ბურება: მცირდება კვალიური კადრები, მიმდინარეობს  
მათი განუწყვეტელი დენადობა, მცირდება სპეციალური ლიტ-  
ერატურისა და ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გამოცე-  
მა. ამასთან ერთად, დამახასიათებელია ისიც, რომ თითქმის  
ყველგან მატულობს წიგნბრუნვა, განსაკუთრებით ტექნიკის  
დარგში.

ომის დამთავრებისთანავე დღის წესრიგში დგება დან-  
გრეული ბიბლიოთეკების დაუყოვნებლივ პლატფორმა და საბიბ-  
ლიოთეკო საქმის გამოცოცხლება.

&&

**3.საბიბლიოთეკო საქმე მეორე მსოფლიო ომის  
შედეგი (1945-1990)**

**3.1.სრიალისტური რომელიც ასახული აქცენტის საბი-  
ლიოთეკო საქმის განვითარების  
ძირითადი შედეგები**

შეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იქმნება რა სოციალის-  
ტური ბანაკი, მასში შემავალი ქვეყნები ფართოდ იწყებენ  
საბიბლიოთეკო საქმის აღდგენის პროცესში ურთიერთან-  
ამშრომლობას. 50-იანი წლების დასასრულიდან თანამშრომ-  
ლობა თავისი განვითარების გენიტს აღწევს. ერთ-ერთი უმ-  
ნიმველოვანები ღონისძიება იყო ვარშავაში 1957 წელს  
გამართული პირველი საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული  
კონფერენცია. ანალოგიური ღონისძიება 1958 წელსაც ჩატარ-  
და პრაღაში, 1962 -წელს - ბერლინში, 1968 წელს - ლენინ-  
გრადში. სისტემატიკურად ხვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა  
ქვეყნების მეთოდურნების წარმომადგენლები. 1965 წელს  
ერთმანეთს შევდნენ ნაციონალური ბიბლიოთეკების ხე-  
ლმძღვანელები. ეს ხელს უწყობდა ინტერაციას, რომლის  
დროსაც პეგამონური პოზიცია საბჭოთა კავშირს ეჭირა.

სოციალისტური ბანაკის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ წარ-  
მომადგენლად საბჭოთა კავშირის შემდეგ ჩინეთის დემოკრა-  
ტიული რესპუბლიკა ითვლებოდა. საბიბლიოთეკო საქმის  
თეალსაბრივით, ის საქმაოდ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოად-  
გენდა. აյ პირველი სახალხო ბიბლიოთეკა 1884 წელს გაიხ-  
სნა პეკინში. დაწყებით სკოლებში პირველი ბიბლიოთეკა  
მხოლოდ 1910 წელს იქნა დაარსებული. სოციალისტურ ბა-  
ნაკთან შეერთების შემდეგ აյ სწრაფი გემპით განვითარდა

საბიბლიოთეკო საქმიანობა. თავდაპირველად აქაც ჰასტერული თა საბიბლიოთეკო გამოცდილებით სარგებლობდნენ, შეგრომაშ შემდეგ, პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარი გათიშველობის შედეგად, ჩინეთი საგრძნობლად გამოცალკევდა და თავისი განვითარების გზას დაადგა, თუმცა ბევრი რამ, რაც აღრე მიიღო საბჭოთა პრაქტიკიდან, არ უგელვებელყოფა.

სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყანაში ომის შემდეგ საქმაოდ დიდი აღმავლობა შეინიშნება არა მარტო პრაქტიკულ საქმიანობაში, არამედ საბიბლიოთეკო თეორიიაშიც. ვითარდება ბიბლიოთეკათმცირდნებია და ბიბლიოგრაფია, იქნება მრავალი სპეციალური უმაღლესი და სამუალო სასწავლებელი, ყველა ქვეყანაში გამოიდის საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული სამეცნიერო პერიოდიკა.

თუ გადავხედავთ ომისშემდგომ პერიოდს თანამედროვეობამდე, დავინახავთ მრავალ სიახლეს, დამოუკიდებელი გზის ძიებას, გამუდმებულ ცდას თვითდამკვიდრებისათვის, რაც ახასიათებდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმიანობას. დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება თანდათან უფრო იჩენდა თავს და მოგი ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმე შედარებით დამოუკიდებელ და ორიგინალურ საწყისებს ამჟღვიდრებდა.

თვისებრივი თვალსაზრისის გარდაქმნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოცემული პერიოდი ორ ძირითად ეტაპად შეიძლება დაეყოოთ: ერთი – ომისშემდგომი პერიოდი 60-იან წლებამდე და შემორ – 60-იანი წლებიდან სოციალისტური ბანაკის დამლამდე – 90-იანი წლების დამდეგამდე. თუ პირველ პერიოდში აშკარადაა გამოვლენილი საბჭოთა კავშირის ზეგავლენა სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებშე, მეორე პერიოდში თავს იჩენს ამ ქვეყნების ცდა დამოუკიდებელი გზის გამონახვისა, ინტეგრაციის პროცესში თავიანთი ინდი-



კიდევალობის დაცვისა. მთელ რიგ ქვეყნებში ვითარდება საერ-ესოვანული თაშორისო საბიბლიოთოთეკო ტრადიციების მშარდი ზეგავლენა, აღორძინებას იწყებს საბიბლიოთეკო ეროვნული მეცნიერება, თუმცა ჯერ კიდევ ძალაში რჩება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების განკურმოებულობა საბიბლიოთეკო საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა ე.წ. „სევის“ - სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების საქმიანობა. ეს გაერთიანება გამოსცემს თავის ორგანოს – სტატისტიკურ წელიწლეულს, რომელშიც სისტემატურად ქვეყნდება მონაცემები საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

როგორც პირველ, ისე შეორე ეტაპზეც კვლავ ძალაშია საბიბლიოთეკო მშენებლობის წარმართვა პარაგიულ და სახულმწიფოებრივ დადგენილებათა საფუძველზე. ამ დადგენილებების მრავალი პუნქტის რეალიზაცია, ასე თუ ისე, ხელს უწყობს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. ამ შერივ ყველაზე მეტად დამახასიათებელია საბიბლიოთეკო სტანდარტისათვის განხორციელება მთელ რიგ ქვეყნებში.

სხვადასხვა წარმატებით ხორციელდება ბიბლიოთეკების მექანიზმისათვის და ავტომატიზაცია. ინერგება ბევრი სიახლე, მაგრამ ამ შერივ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები საგრძნობლად ჩამორჩებიან მსოფლიოს მოწინავე სტანდარტებს, თუმცა შეძლებისდაგვარად ცდილობენ შეიძინონ მოწინავე გამოცდილება.

მათი წარმატებები საბლკეულ ქვეყნებში საურმანიბლად განსხვავებული იყო.

ბულგარეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არაერთი სამთავრობო დადგენილება იყო გამოტანილი საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით (1970, 1973 წწ.). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოგროვებას, აგრეთვე საბიბ-



ლილოუკო საქმეში სტანდარტიზაციას. ამ მხრივ განსაზღვრული ბულ როლს თამაშობდა კირილება და მეთოდეს სახელის სახალხო ბიბლიოთეკა. იგი გამოსცემდა ბულგარეთში შემოსული უცხოური პერიოდის მასალების შეკრიუბულ კატალოგებს, აგრეთვე უცხოური მონოგრაფიების ახლადშემოსული მასალების ნუსხებსა და ბარათებს. აქაც მოსახლეობის მომსახურების ძირითად სისტემას მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია წარმოადგენდა.

აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია დიდი პოლიტიკური ბიბლიოთეკების შექმნა კომუნისტური მოძრაობისა და მისი ბელადების მოღვაწეობის ამსახველი მასალის დაცვისა და გაუცელებისათვის. თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში არსებობს ამგვარი ბიბლიოთეკები, რომლებიც უმეტესწილად შესაბამის კვლევით ინსტიტუცია და მუზეუმებთან იქნება. ამ მხრივ გამოიჩინდა გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუციის ბიბლიოთეკა. აქ სამოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის 400 ათასზე მეტი წიგნი იყო თავმოყრილი. იგი საკმაოდ დიდ მუშაობას ეწეოდა ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების თვალსამრისით, ერთ-ერთი პირველი იყო ელექტროგამომთვლელი მანქანის ბიბლიოთეკებში დანერგვის საქმეში, მუშაობდა მასალების სისტემატიზაციის ახალი მეთოდების შექმნაზე, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისევე როგორც „სევის“ სხვა ქვეყნებში, საბიბლიოთეკო საქმეში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გეგმიურობის შემდეგ სრულყოფას. 1968 წელს გდრ-ს მინისტრთა საბჭოო მიიღო დადგენილება საბიბლიოთეკო სისტემის შესახებ, რომელშიც განსაზღვრული იყო ამ მიმართულების სტრატეგიული ამოცანები. მეცნიერული



ბათა აკადემიასთან შექმნილი იყო სამოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრალური სამართებელი. მიმდინარეობდა მუშაობა ერთიან საკლასიურკაციით სისტემაზე, რომელიც საბჭოთა ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას უნდა დაფუძნდოდა - „სპ“ (ББК)

1964 წლიდან უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან იქმნება სამეცნიერო ბიბლიოთეკების მეთოდური ცენტრი, რომელიც ვაგუმბოლდებს სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკათმცუდნეობისა და ინფორმაციის ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად წარმოადგენდა საბიბლიოთეკო მეცნიერების ორგანიზაციისა და კონგრესის ორგანოს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი იყო დარგობრივი სამეცნიერო ბიბლიოთეკების სიმრავლე, ისინი იქმნებოდა სხეადასხვა უწყებასა და კვლევის ინსტიტუტებში.

1964 წელს შეიქმნა ქვეყნის ბიბლიოთეკართა გაერთიანება, რომლის წევრები გახდნენ როგორც მასობრივი, ისე სამეცნიერო ბიბლიოთეკები. მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა პროფესიონალის ბიბლიოთეკების წარმომადგენლები. ამ სისტემას სათავეში ედგა ცენტრალური პროფესიონალური ბიბლიოთეკა ბერლინში. ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა მოვალე იყო მომსახურებიდა ბავშვებს. 1963 წელს დადგებულ იქნა ხელშეკრულება სამუალო სკოლებსა და მასობრივ ბიბლიოთეკებს მორის ურთიერთანამშრომლობაზე.

სამეცნიერო ბიბლიოთეკებს შორის უპირველესი ადგილი ლეიპციგის გერმანულ ბიბლიოთეკას ეჭირა. გერმანიაში ამ ბიბლიოთეკაში ომის შემდეგ პირველმა გაუდო კარი შეითხველებს 1945 წ. ნოემბერში. ამ ბიბლიოთეკის თანაბრად მუშაობდა ბერლინში ნაციონალური ბიბლიოთეკაც. მათი



თაოსნობით იქმნება ბიბლიოგრაფიული გამოცემებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკები, გარდა ლეიბრიარდის გერმანული ბიბლიოთეკისა, წიგნს შინ სარგებლობისათვის გასცემდნენ.

საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოცემოდა ბიბლიოგრაფიული და მეთოდიკური ლიტერატურა. ფუნქციონირებდა ორი პერიოდული ორგანო – პრაქტიკული საბიბლიოთეკო და სამეცნიერო.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც დიდი ფურადლება და ეთმო საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის საქმეს. ეს სისტემა საგრძნობლად განსხვავდებოდა სტრუქტურულად საბჭოთა კავშირში განსხორციელებული ცენტრალიზაციისაგან ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გამო. მიღებული გამოცდილების საუფლებელშე, დამუშავდა ცენტრალური სისტემის დებულება, რომლის ძალითაც ცენტრალური ბიბლიოთეკის ფუნქციები რეგიონში ენიჭებოდა უნივერსიტეტ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომელსაც ევალებოდა სხვადასხვა უწყებათა ბიბლიოთეკების კოორდინაცია და კოოპერაციულად.

სახელმწიფო წყობის თავისებურებებშია თავისი გავლენა მოახდინა იუგოსლავიის საბიბლიოთეკო საქმეზეც. ამ ფედერაციაში ექვსივე რესპუბლიკას თავისი საბიბლიოთეკო კანონი ჰქონდა და, ცხადია, საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციაც სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული ექნებოდა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაერთიანებებს. ამგვარ გაერთიანებებს წარმოადგენდა იუგოსლავიის საბიბლიოთეკო სამოგადოებათა კავშირი. მეთაურობდა მას იუგოსლავიის ნაციონალური ბიბლიოთეკების გაერთიანება. იუგოსლავიაში ამ პერიოდში 7 ნაციონალური ბიბლიოთეკა იყო, ყველა ისინი სავალდებულო ცალებით იყო უზრუნველყოფილი. ნაციონალური ბიბლიოთეკები ეწევიან



ყველა ტიპის ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციას გვერდით ისინი ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ ამავე დროს მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკებისათვის ძალაშია სტანდარტები. ნაციონალური ბიბლიოთეკები ამავე დროს ინფორმაციის ცენტრებსაც წარმოადგენენ.

იუგოსლავიაში ძირითადი მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელია, რომელიც განსაკუთრებულად ფართოვდება ომის შემდგომ წლებში. ისინი უმეტესად სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების მიერ ისსნებოდა. 1945-1955 წლებში 10 ათასამდე ასეთი ბიბლიოთეკა დაარსდა. ცედი მეცნიერულ-ტექნიკური პირობების გამო შემდეგში ხელისუფლება იმულებული გახდა გაემსხვილებინა ბიბლიოთეკები. ბევრი მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელიც პროფესიონელებს ეკუთვნოდა, ღვეუნარალიტაციის შემდეგ უაღკეულ ორგანიზაციას გადაეცა. ბაეშვი მკითხველთა მომსახურება ძირითადად მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების ხელში იყო. დამოუკიდებელი საბაზმო ბიბლიოთეკების იმვიათობას წარმოადგენდა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან, გარდა ნაციონალური ბიბლიოთეკებისა, გამოირჩეოდა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკები. ეს უკანასკნელი უმეტესად ომის დასასრულსა და მომდევნო პერიოდში შეიქმნა. ფედერაციის თათქმის ყველა რესპუბლიკაში გამოიიდა სპეციალური პერიოდული ორგანო და მზადდებოდა საბიბლიოთეკო კადრები.

საქმაოდ განსხვავებული მდგომარეობა იყო პოლონეთში. ომის შემდგომ წლებში განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების რაოდენობა, რომლებსაც სხვადასხვა უწყებები ხელმძღვანელობდნენ. დიდ ძალას წარმოადგენდა პროფესიონელი ბიბლიოთეკები.

1957 წელს მოხდა პროფესიონელი დეცენტრალიზაცია



და მათი ბიბლიოთეკები უშეალოდ წარმოება-დაწესებულება განვითარებულ ბებს დაქვემდებარა. ბიბლიოთეკების უმრავლესობა არა-ცენტრალიზებულად ფინანსდებოდა – ისინი იმ წარმოება-დაწესებულებათა ბიუჯეტზე არიან, რომელთა შემადგენლობაში შედიან.

პოლონეთში 1948 წელს შეიქმნა ვოევოდების (რაიონების) ცენტრალური ბიბლიოთეკები, რასაც მოყვა ქალაქებისა და სოფლების ბიბლიოთეკების ქსელის შექმნა. მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი ძირითადად აგებულ იქნა ტერიტორიულ-ეწყებრივი პრინციპით. ყველაზე დიდ საქალაქო ქსელს სათავეში უდგას 1907 წელს დაარსებული ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკა.

თავის დროს მასების წიგნიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1946 წელს გამოქვეყნებულმა დეკრეტმა საბიბლიოთეკო საქმის შესახებ და 1949 წელს მიღებულმა კანონმა წერა-კითხვის უსროლინარობის ლიკვიდაციის შესახებ. 1951 წლიდან დაიწყო საბავშვო ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

პოლონეთის მასობრივ ბიბლიოთეკებში მოქმედებაში იყო ათწლეული კლასიფიკაციის პოლონური ვარიანტი.

რაც შეეხება სამეცნიერო ბიბლიოთეკებს, ისინი ამ მხრივ შედარებით პირობობური უფლებებით სარგებლობდნენ. ამ პერიოდშიც ყველაზე დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკას პოლონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგინდა (ვარშავა). მასთან შექმნილი იყო ბიბლიოგრაფიის ონსტიტუტი, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში, გამოსცემდა ბიულეტინებსა და მეთოდიკურ ლიტერატურას.

მოცემულ პერიოდში აღინიშნება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების რაოდენობის



სწრაფი მრდა, ასევე იმრღვება უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქსელიც. საბიძლითოთეკო კადრების მომზადება უმაღლესი განათლების ბაზაზე ხდება. გამოდის რამდენიმე საბიძლითოთეკო პერიოდული ორგანი.

თავისებური მდგომარეობა შეიქმნა რუმინეთში. ომისშემდგომ პერიოდში მოხდა საჯარო ბიბლიოთეკების ერთ ქსელში გაერთიანება კელტურის დაწესებულებათა სისტემამი. ერთდროულად იქმნებოდა სხვადასხვა უწყებისა და უალკეული დაწესებულების ბიბლიოთეკების ქსელი. 1950 წელს დაარსდა ბიბკოლექტორი, რის შემდეგაც შესამჩნევად გაუმჯობესდა ბიბლიოთეკების წიგნით მომარაგების საქმე. 1958 წელს გამოიცა აღწერილობის ერთიანი წესები, რის შედეგადაც საქმაოდ ამაღლდა საკატალოგო მეურნეობის წარმოების კულტურა; ბაქშვთა მომსახურებას ძირითადად მასობრივი ბიბლიოთეკების სეუციალური განყოფილებები ეწევიან, რის გამოც რუმინეთში, ტრადიციულად, საბავშვო ბიბლიოთეკები ძალიან ცოტა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკების საქმიანობას სათავეში უდგას რუმინეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელთანაც კოორდინირებულია ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა. რუმინეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა 1955 წელს დაარსდა და მისი არსებობის მოკლე მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია. მას საქმაოდ რთული და ბევრი ფუნქცია აკისრია: 1957 წლიდან წიგნების ცენტრალიზებულ დამუშავებასაც კი ეწევა და მასობრივ ბიბლიოთეკებს ანოგირებულ ბეჭდურ ბარათებს აწედის, რაც მანამდე წიგნის პალატის ფუნქციას წარმოადგენდა. სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან განსაკუთრებით აქტიურად საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები მოქმედებენ. ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკა უმრუნველყოფილია ეროვნული წიგნის



სავალდებულო ცალით. 1953 წლიდან შემოღებულ კულტურულ ლიოტეკართა მომზადების როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების სისტემა, თუმც საჭირო კადრების ნაკლებობა ამჟამადაც იყრინობა. შრომის მოწინავე გამოცდილებისა და თეორიისათვის ხელშესაწყობად არსებობს სათანადო პერიოდული ორგანო.

მოცემულ პერიოდში უნგრეთში საბიბლიოთები საქმე მკაფი ქსელობრივ პრინციპები იყო აფებული. აქ საბჭოთა კავშირის მიხედვით, გადაღებულ იქნა საბიბლიოთები საქმის ცენტრალიზაცია. საერთოდ, აქაურ საბიბლიოთები სისტემას განსაკუთრებულად ახასიათებს ცენტრალური მმართველობისადმი მიღწეულება, რაც მოგ შემთხვევაში, დადგით შედეგს იძლევა, მაგრამ მას თავისი უარყოფითი მხარეების ახლავს, რამებიც არ მახვილდებოდა სათანადო ყერადება. ასევე ცენტრალიზებული იყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას საბიბლიოთები დარგში, რასაც კულტურის სამინისტრო განაცემდა.

ომის შემდგომ პერიოდში უნგრეთში საბიბლიოთები საქმის განვითარებისათვის პირველი ღონისძიებები 1947 წელთანაა დაკავშირებული, როდესაც აქ პოლიტიკური სტაბილიტაცია დამკვიდრდა. 1952 წელს საოლქო ცენტრების საქალაქო ბიბლიოთეკების ბაზაზე შეიქმნა მირითადი საოლქო ბიბლიოთეკები, ხოლო რაიონების ქალაქების ბიბლიოთეკები სარაიონო ბიბლიოთეკებად გადაკეთდა. ამგვარად მოწესრიგდა მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის სტრუქტურა. ამ პერიოდიდან იწყებს განვითარებას სასკოლო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, ფართოვდება პროფესიონული ბიბლიოთეკების ქსელი.

სხვა ქვეყნების ანალოგიური ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, უნგრეთის საოლქო ბიბლიოთეკები აღჭურვილი არიან უკლაღი სახსრების საოლქო ბიბლიოთეკებისათვის



განაწილების უფლებით. უნგრეთში განსაკუთრებით გაურცხულდა პატარა სოფლების პირობებში დამოუკიდებელი ბიბლიოთეკების ნაცვლად მოძრადების გახსნის პრაქტიკა.

ტარდება ღონისძიებები საბავშვო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარებისათვის, რაღანაც უნგრეთში ამ დროისათვის დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები ძალიან ცოტა იყო.

ქვეყნის მთავარ ბიბლიოთეკას ბუდაპეშტში ფრანც სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა წარმოადგენდა. იგი ითავსებს ეროვნული საცავის ფუნქციებს. თავს უკრის მთელ ეროვნულ პროდუქციას და ლიტერატურას უნგრეთშე, აწერითებს სავალდებულო ეგზემპლარების განაწილებას, აღგენს შეერთებულ კატალოგებს. ამ ბიბლიოთეკის გარდა, მსხვილ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს წარმოადგენს პარლამენტის და მაქსიმ გორკის სახელობის ბიბლიოთეკები, აგრეთვე სპეციალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები ტექნიკისა და პედაგოგიკის დაწესები, აგრეთვე აკადემიის ქსელისა და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები.

უნგრეთში საქმაოდ მაღალ დონეზე იდგა კადრების მომზადებისა და საბიბლიოთეკო მეცნიერული კვლევის საქმე, გამოღილდა რამდენიმე პერიოდული სპეციალური ორგანო.

ჩეხოსლოვაკიაშიც განსაკუთრებული ყურადღება ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემის შექმნას დაეთმო. პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა და თითქმის 80-იან წლებამდე გაგრძელდა. საბჭოთა კავშირის მსგავსად, აქაციმავე სტრუქტურით მოეწყო მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია. 1945-1948 წლებში ყველა ბიბლიოთეკა, რომელიც ომის შედეგად დაინგრა, აღსდგა და ფუნქციონირება დაიწყო.

მოცემულ პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში მასობრივი ბიბ-



ლიოთეკების ქსელი აგებული იყო აღმინისტრაციული სამართლის ტორიალური დაყოფის პრინციპით. მიუხედავად პლაზინის-ტრაციული ცენტრალიზებისა, დაკომპლექტება შერეული სისტემით მიმდინარეობდა. საოლქო ბიბლიოთეკები თავისით იძენენ წიგნებს, ხოლო სასოფლო ბიბლიოთეკები წიგნებს სარაიონო ბიბლიოთეკებიდან იღებენ.

ბავშვების საბიბლიოთეკო მომსახურება ხდება მასობრივი ბიბლიოთეკების სეციალური განყოფილებების, სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ბიბლიოთეკების მიერ. დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები პრაქტიკაში არ არის დაწერგილი და მხოლოდ ერთი-ორი საბავშვო ბიბლიოთეკა თუ ფუნქციონირებს. სანაცვლოდ შედარებით მაღალ ღონებები დგას ბავშვთა მომსახურება სასკოლო ბიბლიოთეკებში. ბავშვ მკითხველებს აქტიურად ეხმარებიან აგრეთვე პროფესიონირთა მასობრივი ბიბლიოთეკები.

ჩეხოსლოვაკიაში საბიბლიოთეკო საქმის სათავეში, როგორც ყველა დასახელებულ ქვეყანაში, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა დგას, რომელიც, როგორც წესი, ეროვნულ წიგნსაცავს წარმოადგენს. ცნობილია, რომ თავდაპირველად ისინი ყველანი საჯარო ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ. ასევე იყო ჩეხოსლოვაკიაშიც.

1958 წლიდან მოხდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების ქსელის რეორგანიზაცია. ნაწილი სამეცნიერო ბიბლიოთეკებისა გადაეცა შესაბამის კომიტეტს, ნაწილი საოლქო ბიბლიოთეკებს შეუერთდა. მათ უკანასკნელისაგან წარმოიქმნა ახალი ტიპის ბიბლიოთეკათა ქსელი, რომელიც სამეცნიერო ფუნქციებთან ერთად, მასობრივი ბიბლიოთეკის ფუნქციებსაც ითავსებდა. სამეცნიერო ბიბლიოთეკების განსაკუთრებით დიდი ქსელი შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. 1952 წელს სამი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა



შესწორებათა აკადემიის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა მიღებით ითვისთვის შესწორებათა აკადემიის ბიბლიოთეკების სისტემაში. თავისი დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო ქსელი გააჩინია აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სასოფლო-სამეცნიერო შესწორებათა აკადემიასაც. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაარსდა აგრეთვე სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში.

ჩეხოსლოვაკიაში საქმაოდ მაღალ დონეზეა კადრების მომზადების საქმე. სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და სპეციალურ კათედრებზე მიმღინარეობს კვლევა-ძიებითი სამუშაოები ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიაში. გამოდის როგორც სამეცნიერო, ისე პროფესიული ჟურნალები და რეკლამური ჟურნალები.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან თავიანთი საქმიანობით საქმაოდ გამოიირჩეოდნენ შორი აღმოსავლეთის ქვეყნებიც – ჩრდილოეთ ვიეტნამის, ჩრდილოეთ კორეისა და ავრეთვე მონღოლეთის რესპუბლიკისა.

მიუხედავად მძიმე ომისა, რომელსაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა აწარმოებდა (1969-1974), აქაც შეიმჩნეოდა გარკვეული პროგრესი საბიბლიოთეკო საქმეში. განსაკუთრებული გალისხმიერებით ეკიდებოდნენ აქ სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას. ვიეტნამში სასოფლო ბიბლიოთეკების გაჩენა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფელი უზრუნველყოფილი ვერ იყო ამით, საქმაოდ წინწადგმული ნაბიჯი იყო. დაახლოებით იგივე ვითარება იყო შექმნილი ჩრდილო კორეაშიც.


საკრძნობლად განსხვავდებოდა ვითარება მონღოლეთში, სადაც უფრო ადრე მოხერხდა საბიბლიოთეკო საქმის აღორძინებისათვის ზრუნვა. ძირითადად აქ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ედგა სათავეში საბიბლიოთეკო ქსელს. ბევ-



რგან სოფლად სისტემატურად ისსიცბოლა ახალ-ტექნიკური დოოთექები. ანგარიშგასაწვია საბიბლიოთთეკო საქმის განვითარების პროცესში ის ადგილობრივი პირობები, რომელიც ამ შეარეში არსებობდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში საკმაოდ იყო უეხმოკიდებული იღეოლოგიური წნების გავლენა, რაც მეტად არადემოკრატიული პრინციპების გაღვივებას უწყობდა ხელს.

საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნების საბიბლიოთთეკო საქმეში მაინც მთავარი იყო ძირითადი ეროვნული ბიბლიოთექების ჩამოყალიბება და განვითარება.



### 3.2. საბიბლიოთეკო საქმის ძირითადი თავისებურებანი პაპიტალისტერ ქვეყნები

ევროპასა, აგიასა თუ ამერიკაში საბიბლიოთთეკო საქმე მეტად მრავალგვაროვნიანი განვითარების გზით ხასიათდება, მაგრამ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო საბოლოოდ გამოიკვეთა ინგლისარიის პროცესი, რამაც ხელი შეუწყო ურთიერთობათა გზებისა და სამუალებების გაფართოებას. ყოველგვარი სიახლე ნელა, მაგრამ ბეჯითად ინერგებოდა. განსაკუთრებით მკვეთრად ეს მოვლენა გერმანიის ფედერაციელ რესპუბლიკაში გამოვლინდა. აქ საბიბლიოთთეკო საქმეში თავდაპირველადვე წინა პლანშე ფასიანი სახალხო ბიბლიოთეკები დადგნენ. 50-იანი წლებისათვის ამ ტიპის ბიბლიოთეკები დომინირებდნენ სწორედ საბიბლიოთთეკო მომსახურების საქმეში. მაგალითად, 1956 წელს ფასიან სახალხო



ბიბლიოთეკებში ფონდის რაოდენობამ 20 მილიონი ტომი შეადგინა, როდესაც საჯარო ბიბლიოთეკების ფონდები სულ 7,66 მილიონს უდრიდა.

ფასიანი მასობრივი ბიბლიოთეკების გარდა, მოსახლეობას უშაბურებოდა კომუნალური საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებიც ბოგაძესაგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტას ისახავდნენ მიზნად. როგორც ომგამოვლილ ბევრ ქვეყანაში, აქაც პირველ ხანებში ყველა სოფელს არ გააჩნდა თავისი ბიბლიოთეკა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არნახული სწრაფი ტექნიკით იწყებს განვითარებას ეკონომიკა. ტექნიკური პროგრესი საბიბლიოთეკო საქმეს დიდ მოთხოვნებს უქმნებს. საგრძნობლად როგორდება ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციები. ტექნიკური პროგრესით სტიმულირებული საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა არსებული ყველა რეზერვის ამოქმედებას მოიხსოვს. ამიტომაც აქ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეცნიერო ბიბლიოთეკების ამოქმედებას, განსაკუთრებით მსხვილი სპეციალური ბიბლიოთეკები მომრავლდა. გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებმა. განსაკუთრებით მდლავრ ცენტრს წარმოადგენს გერმანული ბიბლიოთეკა ფრანკფურტში შაინზე, ბოპემისა და ბონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები; თუ ეს ბიბლიოთეკები გონიერივი პოტენციის ამოძრავების საშუალებებს წარმოადგენდა და ამისათვის შათ დიდ სახსრებს უყოფდნენ, ამას ვერ ვიტყვით შასობრივ ბიბლიოთეკებზე. ამ უკანასკნელთა განვითარებაზე ეარყოფითი გავლენა იქონია 1972 წელს ბენდესტაგში შიდებულმა კანონმა საავტორო უფლებებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის ძალითაც ყველა ბიბლიოთეკას ევალებოდა გასამრჯელო გაედო მწერლებისათვის, ვის წიგნებსაც აქ კითხულობდნენ მკითხველები. ამან



შასობრივი ბიბლიოთეკები აიძულა, შეექმნათ სპეციალური მუნიციპალური მდგრადი ამ საქმის საწარმოებლად, დაუდინათ, რომელი წიგნის წაკითხვისას რა ფასი უნდა გადახდოლიყო, შემოეღოთ მეთვალყურეობა გადახდის ვადებზე და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკურმა გაძლიერებამ, რაც 80-იან წლებში სრულად გამოვლინდა, ეპირუნველყო ბიბლიოთეკების ტექნიკურად აღჭურვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად – აშენდა ბევრი სპეციალური ნაგებობა, ამოქმედდა ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკა. განსაკუთრებულად ორგანიზებულად ემსახურებიან მომხმარებლებს ე.წ. არასტაურნარული ფორმებით, უმეტესად ბიბლიობუსით, რომლის ნიმუშებსაც ეროვნულ წარმოებებში ამზადებენ. საკმაოდ მაღალ დონეზე დადგა ბიბლიოთეკის სპეციალისტთა მომზადების საქმეც. ქვეყნად არაერთი სპეციალური პერიოდული ორგანო გამოიის. განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია ინფორმაციის სამსახურმა, ბევრი რამ გაკეთდა საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული შეცნიერების განვითარებისათვის, რასაც ხელს უწყობს შესაბამისი ბეჭდითი პროდუქცია.

ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის დამახასიათებელ თავისუბურებას წარმოადგენს სწრაფვა გერმანული ბეჭდური პროდუქციის სრულყოფილი რეპერტუარის შედგენისადმი.

აღნიშნულ პერიოდში საფუძვლიანი გარდაქმნები განიცადა სხვა ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმემაც, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში. 1973 წელს ოფიციალურად გაიხსნა ბრიტანეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა ბრიტანეთის მუზეუმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სახვითი ხელოვნების საცნობო, ცენტრალური ეროვნული ბიბლიოთეკები, სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა-აბონემენტი ბოსტონ-სპერში, ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის სამსახური, მოგლანდისა და უელსის

ეროვნული ბიბლიოთეკები და მთელი რიგი მსხვილი სამუნიკერო ბიბლიოთეკები. ეს არ იყო ერთი დიდი ბიბლიოთეკა, არამედ, ფაქტობრივად, ის ბიბლიოთეკათა გაერთიანებას წარმოადგენდა ცენტრალური მმართველობით. საერთოდ, ბრიტანეთის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ნათლად იყო გამოხატული მიღრეკილება მართვის ცენტრალიზაციისადმი, რამაც სახელმწიფო მიღრები ხასიათი მიიღო, რამდენადაც საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის პრინციპით აგების საკითხი თვით პარლამენტის მიერ იყო შესწავლილი და დაგეგმილი. ამას მხარს უჭერდა ბიბლიოთეკართა გადამჭრელი უმრავლესობა. ამ ამრამდე ისინი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს მივიღნენ, როდესაც დაქსაქსელი მასობრივი ბიბლიოთეკები სრულიად ვეღარ პასუხობდნენ გამრდილ მოთხოვნილებებს. 60-იან წლებში რეგიონალური სისტემები, რომლებიც აგებული იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპით საყრაფოებში და სოფლის მოსახლეობას ძირითადად არასტაციონალური ფორმებით ეშვახურებოდნენ, გადავიდნენ უმეტესად ფილიალურ მომსახურებაზე, აგრეთვე აქტიურად იყენებდნენ სხვა ბიბლიობუსებსაც.

დიდი ბიბლიოთეკების ერთ ადმინისტრაციულ სისტემაში გაერთიანებამ მოითხოვა კომუნიკაციის საშუალებათა გაუმჯობესება. ამან თავისთავად ხელი შეუწყო ინგლისის საბიბლიოთეკო საქმეში ტექნიკის დანერგვის. იწყება ელექტრონული კატალოგიზაციის ეპოქა. განსაკუთრებით ეუექტურად გამოიყენებოდა გამამრავლებული ტექნიკა – პერფორაციის სისტემები, ტელეკსები. შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკების უმეტესობა განაცრიმობდა ტრადიციული მეთოდებისა და ფორმების გამოყენებას – ფონდთან თავისუფალ დაშვებას, მელვილ დიუს საკლასიფიკაციით ცხრილებით მუშაობას, ბარათული სისტემით ანბანური და სისტემატური



კატალოგების აგებას.

საქართველო  
სამართლის

ეროვნული ბიბლიოგრაფიის სამსახურის მიერ 1949 წელს  
დაწერგილი კატალოგების ცენტრალიზაცია სულ უფრო და  
უფრო ყოვლისმომცველი ხდება.

მიუხედავად ცენტრალიზებული მართვისადმი მი-  
დრეკილებისა, ინგლისში დღემდე არ არსებობს რაიმე ერ-  
თიანი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც საბიბლიოთეკო  
საქმის ერთიანი მმართველი აპარატი იქნება მთლიანად.

როგორც თითქმის ყველვან, აქაც მართვა მაინც დიუკრ-  
ენცირებულად ხდება, მაგრამ გელმიწევნით მოწესრიგებუ-  
ლია კოოპერირებისა და კოორდინაციის სისტემა. უმთავრე-  
სი ყერადღება ეთმობა ცენტრალიზებული წესით დაკო-  
მპლექტებასა და ბიბლიოთეკათმორის აბონენტებს. სხვა ქვეყ-  
ნებისაგან განსხვავებით, კოოპერირების ინიციატორებად არა  
სამეცნიერო, არამედ მასობრივი ბიბლიოთეკები გამოდის.

ინგლისის მასობრივ ბიბლიოთეკებში დადი გავრ-  
ცელება პეოვა შეერთებულმა კატალოგებმა. გავრცელდა  
აგრეთვე ფილიალიზაციის სისტემა. მცირე ფილიალებში  
უმთავრესად მოსახლეობის პატარა ჯგუფებს ემსახურებიან  
და კატალოგებიც არა აქვთ. ინგლისში არც დამოუკიდებე-  
ლი საბავშვო ბიბლიოთეკები არსებობს. ბავშვებს აქ ქალა-  
ქის ცენტრალური და საგრაფოს მთავარი ბიბლიოთეკები,  
აგრეთვე დიდი ფილიალები ემსახურებიან. სოფლად ბავშვე-  
ბის საბიბლიოთეკო მომსახურებას სასკოლო ბიბლიოთეკე-  
ბი ეწევიან.

სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან უმთავრეს ბიბლიოთეკას  
ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა წარმოადგენს, რომელ-  
იც უმთავრეს ეროვნულ ბიბლიოთეკად, ინფორმაციისა და  
სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობის ცენტრად ითვლება.  
საერთოდ, ინგლისში უმთავრეს სამეცნიერო ბიბლიოთეკე-



ბად ითვლება უნივერსიტეტების ცენტრალური ბიბლიოთეკები, ძირითადად ოქსფორდისა და კემბრიჯის უმცელესი ბიბლიოთეკები, რომლებიც წარმატებით ვითარდებიან მთელი ისტორიის განმავლობაში, ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიასა და მეთოდებს.

ინგლისში საბიბლიოთეკო პროფესიის დიპლომის გაცემის უფლება მხოლოდ საბიბლიოთეკო ასოციაციას ჰქონდა, რომელიც ერთწლიან საბიბლიოთეკო სკოლადამთავრუბულებს უზრუნველყოფს. უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების სისტემა აქ არ არსებობს. მხოლოდ ღიდ ქალაქებშია საბიბლიოთეკო სკოლები და მოკლევადოანი კურსები. ბიბლიოთეკარის დიპლომის მიღებისათვის გამოცდაშე გახვლა შეიძლება მხოლოდ 5-წლიანი სამუშაო სტაუს გასცელის შემდეგ ერთგვარი შეღავათი ეძლევათ ღონისძიებების უნივერსიტეტთან არსებული საბიბლიოთეკო სკოლადამთავრუბულებს.

1950 წელს დაარსდა ნაციონალური და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მუდმივმოქმედი კონფერენცია, რომელიც ითვლება სამეცნიერო ბიბლიოთეკების მეთოდურნიად.

თავისებურ ყერადღებას იპყრობს ინგლისური საბიბლიოთეკო პერიოდიკა, რომელიც ღიდ დახმარებას უწევს მესნიერ-მუშაკებს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დაწესი. ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება 1950 წლიდან „ბრიტანეთის ნაციონალური ბიბლიოგრაფიის“ ყოველკვირკველი პერიოდული ორგანოს გამოცემა, ხოლო 1956 წლიდან გამოცემას იწყებს ბეჭდური ბარათები, რომლებიც სავალდებულო ცალების მიხედვით დგება.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, არათანაბომიერად ვითარდებოდა საბიბლიოთეკო საქმე იგალიაში. ამის ნათელი დაღასტურებაა ის, რომ თუ ქვეყნის ცენტრში 1 სულ მოსახლეზე



გასობრივ ბიბლიოთეკებში 1,5 წიგნი მოდიოდა, კალმანიანის შემდეგით ეს მონაცემი 0,09-ს უდრიდა. გასობრივ ბიბლიოთეკებში ერთგვარად მხარს უმავრებდა ვატიკანის მიერ დაუინანსებული კათოლიკური ეკლესიების ბიბლიოთეკები, თუმცა მათი ფონდები და შეშაობის მიმართულება მედმიწევნით რელიგიური პროფილის იყო.

იგალიაში საბიბლიოთეკო სისტემა შედგება სხვადასხვა ქსელის ბიბლიოთეკებისაგან: სახელმწიფო საჯარო, მუნიციპალური (საქალაქო), კომუნების (სახალხო), საწარმოო-დაწესებულებების, პროფესიონელების, სასწავლებლების, კათოლიკური ბიბლიოთეკები, ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა არ არსებობს. დამოუკიდებული სამეცნიერო ბიბლიოთეკები საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკების ქსელს განეკუთვნება; საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები განათლების სამინისტროს ექვემდებარება.

იგალიას საბიბლიოთეკო საქმისათვის დამახასიათებელი გახდა რამდენიმე ნაციონალური ბიბლიოთეკის არსებობა. ისინი ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში არის განლაგებული და ძირითადად თავიანთი ოლქის საგამომცემლო რეპერტუარის შევსებით არიან დაკავებული. ამიგომბა არ არის იგალიაში არც ერთი ბიბლიოთეკა, რომელიც ქვეყნის ნაციონალური ბეჭდური პროდუქტის საცავს წარმოადგენდეს, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია სხვა ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკებისათვის.

აღნიშნულ ჟერიოდში ასეთივე სწრაფი გარდაქმნებით აღინიშნა საფრანგეთის საბიბლიოთეკო საქმე. აქ ურთელესი პირობები შეიქმნა ომის დამთავრების შემდეგ, მთლიანად მოიშალა მასობრივი ბიბლიოთეკების სისტემა. ისედაც დაქსაქსელი, მცირერიცხოვანი ქსელის ბიბლიოთეკები, რომლებიც გადაურჩნენ ომს და რაღაც გჩებით შეინარჩუნეს



არსებობა, სიღაფაკის ზღვარს იყო მისული. სახსრების სიმარტინის ცირე საშუალებას არ იძლეოდა ახალ-ახალი ლიტერატურით შევსებულიყო ფონდები. სოფლად ბიბლიოთეკები თითქმის სულ არ ფუნქციონირებდა, არ კმაროდა კადრები, ცუდ მდგომარეობაში იყო საბიბლიოთეკო შენობა-ნაგებობები.

1945 წელს განათლების სამინისტროსთან შეიქმნა საბიბლიოთეკო სამმართველო, რომლის სათავეში პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი იდგა, რომელიც იწოდებოდა საფრანგეთის ბიბლიოთეკების დირექტორად. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ცენტრალიზებულ მმართველობას, რადგანაც ქსელი აქაც დიფერენცირებულია და მაღიან დიდი წვლილი საწარმოო-დაწესებულებათა და პროფესიული ბიბლიოთეკებს უჭირავს. ბიბლიოთეკების უმრავლესობა სახელმწიფოს აღგიღობისავით მმართველობითი ორგანოების ხელშია, გარდა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკებისა, რომლებიც ერთიან სისტემად შეკრეს ჯერ კიდევ 1926 წელს. ესენია: საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, ოპერის, კონსერვატორიისა და არსენალის ბიბლიოთეკები.

საფრანგეთის საბიბლიოთეკო საქმის გამოცემხლებას დიდად შეუწყო ხელი ეწ. „წიგნისათვის ლაშქრობაშ“. ამ მოძრაობაში ჩაება საფრანგეთის ინტელიგენციისა და პროგრესული სამოგადოების უდიდესი ნაწილი.

საფრანგეთში მუნიციპალური საჯარო ბიბლიოთეკები თრი კატეგორიისა: უმაღლესი კატეგორიის საქადაქო ბიბლიოთეკები და ჩვეულებრივი ტიპის საქალაქო ბიბლიოთეკები. პირველი კატეგორიის ბიბლიოთეკები თავიანთი დანიშნულებითა და მუშაობის ხასიათით მაღიან ახლოს დგანან სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკები, აკა-



დემის სისტემის და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის გროვნელი ბიბლიოთეკის ჩათვლით. საფრანგეთში ამ პერიოდში საქართველოს ფასიანი ბიბლიოთეკები, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებს ემსახურებიან.

1964 წლამდე საფრანგეთში არ იყო არავითარი სასწავლებელი, რომელიც საბიბლიოთეკო კალეჯებს მოამზადებდა, ბიბლიოთეკარის უფლების მოპოვება ხდებოდა სპეციალური კონკურსის მეშვეობით. ამ წელს პარიზში გაიხსნა სპეციალური ერთწლიანი საბიბლიოთეკო სასწავლებლები უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების ბაზაზე.

1952 წლიდან საფრანგეთში შემოღებულია საკონკურსო გამოცდები ბიბლიოთეკარის დიპლომის მოსახლეობებლად. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ უმაღლესდამთავრებულების, რომლებიც ერთვნულ ბიბლიოთეკაში ერთწლიანი სტაფირების შემდეგ გამოსამვებ გამოცდებს აბარებენ. შედარებით შერძილებული პროფერამა აქვთ ე.წ. საშუალო საბიბლიოთეკო განათლების მიღების მსურველებს. ამას გარდა, საბიბლიოთეკო კალეჯი მზადდება კათოლიკურ ინსტიტუტან არსებულ ორწლიან საბიბლიოთეკო სკოლაში.

1975 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბიბლიოთეკო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. მასობრივი ბიბლიოთეკები გადაეცა კულტურის სამინისტროს, ხოლო მასობრივი ინჟინირების სამუშალებები, სამეცნიერო ბიბლიოთეკები – უნივერსიტეტების საქმეთა სახელმწიფო სამდინოს. ამგვარად, ფაქტობრივად, მოხდა ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაცია, როგორც ეს 1945 წლამდე იყო.

მსხვილი ქალაქების სადეპარტამენტო ცენტრალური ბიბლიოთეკები, თუკი ქალაქის მოსახლეობა 20 ათასს აღემატება, თავად არ ემსახურებიან მოსახლეობის ფართო ფენას, ამას



